



2022

**პილარ 3-ის  
წლიური  
ანგარიშგება**

შინაარსი

1. შესავალი .....	3
2. მენეჯმენტის განცხადება .....	3
3. საანგარიშო პერიოდის შემდგომი არსებითი მოვლენები .....	3
4. ძირითადი მაჩვენებლები .....	4
5. კაპიტალის შესახებ ინფორმაცია .....	5
5.1. კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები .....	5
5.2. კაპიტალის ინსტრუმენტები .....	6
6. ბანკის სტრუქტურა .....	8
7. აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები .....	8
8. კორპორაციული მართვა .....	8
9. ბანკის სტრატეგია .....	12
10. რისკების მართვა .....	12
10.1. ბანკის რისკის სტრატეგია .....	12
10.2. რისკ-აპეტიტი .....	13
10.3. ძირითადი რისკები .....	14
10.4. საკრედიტო რისკი .....	17
10.5. საბაზრო რისკი .....	19
10.6. ლიკვიდობის რისკი .....	20
10.7. საოპერაციო რისკი .....	21
10.8. მოდელის რისკი .....	24
10.9. სხვა რისკები .....	24
10.9.1. შესაბამისობის რისკი .....	24
10.9.2. რეპუტაციის რისკი .....	26
10.9.3. სტრატეგიული რისკი .....	27
10.10. სტრეს-ტესტები .....	27
10.11. მიტიგაციის საშუალებები .....	28
10.12. საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტები .....	29
11. ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები .....	30
12. პილარ 3-ის ანგარიშგების დანართები .....	33

## 1. შესავალი

ანგარიშგება ეფუძნება ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის პილარ 3-ის გამჭვირვალობის და ევროკავშირის N 575/2013 დირექტივის მოთხოვნებს, რომლის შესაბამისი მოთხოვნები შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესით“.

## 2. მენეჯმენტის განცხადება

ბანკის დირექტორატი ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით, წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" (შემდგომი ცვლილებებით) მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს. რეგულაციის თანახმად, არ არის სავალდებულო პილარ 3-ის ფარგლებში გამოქვეყნებული ინფორმაციის აუდიტი.

## 3. საანგარიშო პერიოდის შემდგომი არსებითი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის უკრაინაში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების დაწყების შემდეგ, დასავლეთის რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის აშშ-მა, გაერთიანებულმა სამეფომ და ევროკავშირმა სანქციები დაუწესა რუსეთის ფედერაციას. სხვა მრავალს შორის, ეს სანქციები მოიცავდა კონკრეტული რუსული ბანკების (მათ შორის ბანკის მშობელი ბანკის) აქტივების გაყიდვას, აშშ დოლარში გამოხატული ოპერაციების დაბლოკვას ამ და სხვა ბანკებში (მათ შორის, რიგ შემთხვევებში ბანკის და მისი მშობელი ბანკის SWIFT ანგარიშსწორების სისტემის დაბლოკვის ჩათვლით), კონკრეტული მნიშვნელოვანი რუსული კომპანიების და რუსეთის სახელმწიფოსთვის გაერთიანებული სამეფოს, აშშ-სა და ევროკავშირის ბაზრებზე ფინანსების მოზიდვას, VISA და MasterCard პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების შეჩერებას და რუსეთისთვის მაღალ ტექნოლოგიებზე წვდომის შეზღუდვას. შედეგად, 2022 წლის თებერვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაძლიერდა რყევები ფასიანი ქაღალდების და სავალუტო ბაზრებზე, ასევე მნიშვნელოვნად გაუფასურდა რუსული რუბლი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით. ამ მოვლენებმა იმოქმედა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე რუსული საწარმოების საქმიანობაზე. როგორც ღია სააქციო საზოგადოების „ვითიბი ბანკი“ („მშობელი ბანკი“) შვილობილი საწარმო, ბანკი სანქცირებული კომპანიების სიაში შევიდა და დაებლოკა SWIFT, VISA და MasterCard სერვისები, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ბანკის მიერ ჩვეულ რეჟიმში მუშაობის გაგრძელების უნარი. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საქართველოს ფინანსური სექტორის წარმომადგენლებს ურჩია მათი ვალდებულებების შესრულება სანქციების პირობებში. ეროვნულმა ბანკმა დახურა ბანკის კორესპონდენციის ანგარიშები ქართულ ლარში (ამგვარად ბანკს შეუზღუდა ქართულ ლარში ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა) და მშობელი ბანკის მიმართ ვალდებულებების დაფარვაზე შეზღუდვები დააწესა.

ასეთ ვითარებაში, ბანკის მომხმარებლების უფლებების დაცვა ბანკის უპირატესი ამოცანა იყო, შესაბამისად, ამ მიზეზით, ბანკსა და სს „ბაზისბანკს“ შორის შედგა შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბანკმა მისი საცალო მომხმარებლების და კორპორაციული ბიზნეს-ხაზების ნაწილი სს „ბაზისბანკს“ გადასცა 2022 წლის განმავლობაში. ამასთან, ბანკის საცალო ბიზნესის შეძენის ფარგლებში, სს „ბაზისბანკმა“ შეიძინა ბანკის

კონკრეტული დაგირავებული და ფლობილი ქონება და დაიქირავა ბანკის საცალო ვაჭრობის ოფიცრების უმრავლესობა.

გარდა ამისა, ბანკი განაგრძობდა კონსულტაციებს საქართველოს ფინანსური სექტორის წარმომადგენლებთან მისი შეანაბრების ინტერესების მაქსიმალურად დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. კონსულტაციების შედეგად, ბანკმა მიიღო მცირე და საშუალო ბიზნესის პორტფელის სს „ლიბერთი ბანკზე“ მიყიდვის გადაწყვეტილება.

ზემოთ მითითებული ოპერაციების ფარგლებში განკარგული და გაყიდული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანმა თანხამ 1,072,060,531 ლარი და 969,000,897 ლარი შეადგინა, შესაბამისად, განკარგვის თარიღში, რაც შესაბამისად წარმოადგენს ბანკის მთლიანი აქტივების და ვალდებულებების 48% და 53%-ს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოქმედი სანქციების შესაბამისად ბანკმა შეაჩერა ამ ვალდებულებების დაფარვა მშობელი ბანკის მიმართ. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს ჰქონდა 116,937,883 ლარის ოდენობით დაუფარავი ვალდებულება მშობელი ბანკის მიმართ სუბორდინირებულ სესხებთან და წარმოებულ გარიგებებთან მიმართებით.

ბანკი ინარჩუნებს გენერალურ საბანკო ლიცენზიას. ბანკი განაგრძობს ოპერაციებს მნიშვნელოვნად შემცირებული მასშტაბით და ინარჩუნებს კონკრეტულ კორპორაციულ მომხმარებლებს. ბანკი რეგულარულ კომუნიკაციებს აწარმოებს საქართველოს ეროვნულ ბანკთან და არ მოელის მისი ლიცენზიის გაუქმებას ან დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნას. დღეისათვის ბანკი აკმაყოფილებს გონივრულ მაჩვენებლებს (არააუდიტირებული მარეგულირებელი ანგარიშგების საფუძველზე) სავალუტო პოზიციების კოეფიციენტის გახსნის გამონაკლისით, რომელსაც ის სებ-ს უზიარებს და რომელთან კავშირშიც სებ-ს არ განუხორციელებია ბანკის სანქცირება. სებ მუდმივად აკონტროლებს ბანკის მიერ შენარჩუნებული ფულადი სახსრების შესაბამისობას დაუფარავი ანაბრების პორტფელის მომსახურებისთვის. ბანკის ოპერაციები შეზღუდული იყო სებ-ის მიერ არსებული გაცემული სესხების ამოღებით, შეანაბრების მიერ ფულადი სახსრების განადგობით და ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვით, რომლებიც საჭირო იყო ბანკის ყოველდღიური ფუნქციონირებისთვის. ბანკს მუდმივი კომუნიკაცია აქვს სებ-თან.

დღეის მდგომარეობით ყველა ოპერაცია ეფუძნება დაშვებას, რომ საქმიანობა უწყვეტად გაგრძელდება.

#### 4. ძირითადი მაჩვენებლები

ცხრილში მოცემულია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ძირითადი მაჩვენებლები 2022 და 2021 წლის მდგომარეობით ერთეულ ეროვნულ ვალუტაში (ლარებში):

საანგარიშგებო წელი	2022	2021
<b>კაპიტალის მაჩვენებლები ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით (მოცულობა, ლარი)</b>		
<i>ძირითადი პირველადი კაპიტალი</i>	174,241,274	213,542,928
<i>პირველადი კაპიტალი</i>	236,750,274	284,057,228
<i>საზედამხედველო კაპიტალი</i>	326,927,233	418,561,315
<i>რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები</i>	622,042,906	2,007,149,130
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი $\geq 10.98\%$ (2021-ში $\geq 9.77\%$ )	28.01%	10.64%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი $\geq 13.81\%$ (2021-ში $\geq 12.20\%$ )	38.06%	14.15%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი $\geq 21.03\%$ (2021-ში $\geq 20.18\%$ )	52.56%	20.85%
<b>მომგებიანობის და აქტივების ხარისხის მაჩვენებლები</b>		
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROAA)	-6.1%	1.8%

უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROAE)	-18.9%	16.3%
უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	14.4%	7.4%
მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	-83.7%	10.1%
<b>ლიკვიდობა</b>		
ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	22.8%	19.7%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	258.8%	141.9%
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (%)	141.8%	127.3%

2022 და 2021 წლების კვარტლების ბანკის ძირითადი მაჩვენებლების შესადარისი მონაცემები მოცემულია ანგარიშგების თანდართულ დანართებში.

## 5. კაპიტალის შესახებ ინფორმაცია

### 5.1. კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები

კომერციულ ბანკებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული 2013 წლის 28 ოქტომბრის N100/04 ბრძანებით „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ევალუბათ კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების სავალდებულო დაცვა. ეროვნული ბანკის მიერ 2017 წლის 18 დეკემბერს გამოშვებული დამატებითი ბრძანების N175/04 თანახმად პილარ 1-ის ფარგლებში, მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრა შემდეგნაირად:

- ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 4.5%;
- პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 6%;
- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 8%;

კომერციულ ბანკებს ასევე დაუწესდათ კაპიტალის კომბინირებული ბუფერის მოთხოვნა, რომელიც შედგება კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის, კონტრციკლური ბუფერისა და სისტემურობის ბუფერისგან. კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი განისაზღვრება რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების 2.5%-ის ოდენობით.

პილარ 2-ის ფარგლებში ბანკებისთვის განისაზღვრება კაპიტალის დამატებითი ბუფერი იმ რისკებისთვის, რომელსაც არ მოიცავს "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით" დაწესებული პილარ 1-ის მოთხოვნები. აღნიშნული რეგულირდება "პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესით". პილარ 2-ის მოთხოვნები მოიცავს შემდეგ ბუფერებს:

- არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი;
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი, რომელიც შედგება სახელობითი კონცენტრაციისა და სექტორული კონცენტრაციის ბუფერებისგან;
- წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი – საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით დაწესებული ბუფერი;
- წმინდა GRAPE ბუფერი – ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის რისკის კატეგორიების შეფასებისა და ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის შედეგების განხილვის ფარგლებში დაწესებული ბუფერი;

## 5.2. კაპიტალის ინსტრუმენტები

პილარ 1-ის რეგულაციების მიხედვით კომერციული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა მისი საზედამხედველო კაპიტალით განისაზღვრება, რომელშიც ჩართული უნდა იყოს ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომერციული ბანკის სტაბილურობისა და მდგრადობის პრინციპებს.

საზედამხედველო კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტების ჯამისაგან:

- პირველადი კაპიტალი, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან
  - ძირითადი პირველადი კაპიტალი
  - დამატებითი პირველადი კაპიტალი
- მეორადი კაპიტალი (სალიკვიდაციო კაპიტალი)

პირველადი კაპიტალი შედგება ისეთი ინსტრუმენტებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ზარალის უპირობოდ მათი წარმოქმნისთანავე დაფარვა ისე, რომ კომერციულმა ბანკმა შეძლოს თავისი საქმიანობის შეფერხების გარეშე გაგრძელება. პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტები კომერციულ ბანკს უნდა აძლევდეს გადახდების განხორციელების შესაძლებლობას მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ (მათი გადაუხდელობა არ უნდა იწვევდეს კომერციული ბანკის დეფოლტს) და ზარალის დაფარვისათვის მათი სრულად გამოყენების შესაძლებლობას.

ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალი არის საკუთარი კაპიტალის უმთავრესი წყარო და გამოითვლება როგორც ჩვეულებრივი აქციების მთლიან კაპიტალს გამოკლებული საზედამხედველო კორექტირებები.

დამატებითი პირველადი კაპიტალი შედგება:

ბანკის მიერ გამოშვებული უვადო სუბორდინირებული ვალისაგან, რომელიც მოიცავს 300 მილიონ რუსულ რუბლს და მონაწილეობას იღებს კაპიტალის გაანგარიშებაში 2016 წლის 29 დეკემბერიდან. უვადო სუბორდინირებულ სესხს ვადა არ აქვს განსაზღვრული და ბანკს აქვს მისი გამოსყიდვის საშუალება. კუპონის განაკვეთი მოიცავს რუსეთის ცენტრალური ბანკის ძირითად განაკვეთს + 2.5%-ისგან. ბანკს უპირობო უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ გააუქმოს საპროცენტო გადახდები გადახდის თარიღამდე სესხის გამცემისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

2021 წლის 29 დეკემბერს ბანკმა მიიღო 1,400 მილიონი რუბლის უვადო სუბორდინირებული სესხი. უვადო სუბორდინირებულ სესხს ვადა არ აქვს განსაზღვრული და ბანკს აქვს მისი გამოსყიდვის საშუალება. კუპონის განაკვეთი შედგება რუსეთის ცენტრალური ბანკის ძირითად განაკვეთს + 5.89%-ისგან. ბანკს უპირობო უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ გააუქმოს საპროცენტო გადახდები გადახდის თარიღამდე კრედიტორისთვის შეტყობინების გაგზავნით.

მეორადი კაპიტალი არის საკუთარი კაპიტალის დამატებითი წყარო და შედგება სუბორდინირებული ვალისგან, რომელიც მიეკუთვნება მეორად კაპიტალსა და საერთო რეზერვებს, რომლებიც შემოიფარგლება ბანკის საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების მაქსიმუმ 1.25%-ის ოდენობით.

ბანკის მეორად კაპიტალში შემავალი სუბორდინირებული ვალი მოიცავს შემდეგი ინსტრუმენტების ჩამონათვალს:

2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული ხელშკრულება მშობელ ბანკთან 126,400 ათასი რუბლის ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე, საპროცენტო განაკვეთით 11%, რომლის გადახდის ვადა განისაზღვრება 2021 წლის 13 ოქტომბრამდე. 2020 წლის 15 დეკემბერს განხორციელდა სუბორდინირებული სესხის

რესტრუქტურირება საპროცენტო განაკვეთით 8.93%, ხოლო სესხის გადახდის ვადა განისაზღვრება 2027 წლის 29 ოქტომბრამდე;

2018 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება მშობელ ბანკთან 816,985 ათასი რუბლის ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე, საპროცენტო განაკვეთით 10.5%, რომლის გადახდის ვადა განისაზღვრება 2025 წლის 29 აგვისტომდე; 2020 წლის 31 აგვისტოს განხორციელდა სუბორდინირებული სესხის რესტრუქტურირება საპროცენტო განაკვეთით 10.5%, ხოლო სესხის გადახდის ვადა განისაზღვრება 2027 წლის 29 აგვისტომდე;

2018 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება მშობელ ბანკთან 414,000 ათასი რუბლის ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე, საპროცენტო განაკვეთით 11.5%, რომლის გადახდის ვადა განისაზღვრება 2025 წლის 26 დეკემბრამდე; 2020 წლის 31 აგვისტოს განხორციელდა სუბორდინირებული სესხის რესტრუქტურირება საპროცენტო განაკვეთით 8.99%, ხოლო სესხის გადახდის ვადა განისაზღვრება 2027 წლის 29 დეკემბრამდე;

2020 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება მშობელ ბანკთან 455,394 ათასი რუბლის ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე, საპროცენტო განაკვეთით 8.92%, რომლის გადახდის ვადა განისაზღვრება 2027 წლის 17 დეკემბრამდე;

2021 წლის 29 დეკემბერს ბანკმა დადო სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება მშობელ ბანკთან 900,000 ათასი რუბლის საერთო ოდენობით, საპროცენტო განაკვეთით 11.51% გადასახდელი კვარტალურად და 2028 წლის 25 დეკემბერამდე ვადით.

ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ამ სესხების დაფარვა მოხდება მხოლოდ ბანკის ძირითადი კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის 2022 და 2021 წლების საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების რიცხვობრივი მონაცემები პილარ 1-ის რეგულაციის ფარგლებში ერთეულ ეროვნულ ვალუტაში (ლარებში):

	2022	2021
ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც აკმაყოფილებენ ძირითადი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	209,008,277	209,008,277
აკუმულირებული სხვა სრული შემოსავალი	11,836,127	13,203,093
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	(16,017,757)	26,946,522
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებამდე</b>	<b>204,826,647</b>	<b>249,157,892</b>
აქტივების გადაფასების რეზერვი	11,836,127	13,203,093
არამატერიალური აქტივები (მათ შორის გუდვილი)	18,749,246	22,411,871
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირებები</b>	<b>30,585,373</b>	<b>35,614,964</b>
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებების შემდეგ</b>	<b>174,241,274</b>	<b>213,542,928</b>
ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ დამატებითი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	-	-
მათ შორის, კლასიფიცირებული კაპიტალად შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით	62,509,000	70,514,300
<b>დამატებითი პირველადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებამდე</b>	<b>62,509,000</b>	<b>70,514,300</b>
<b>პირველადი კაპიტალი</b>	<b>236,750,274</b>	<b>284,057,228</b>
ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს	86,417,713	112,523,368
საერთო რეზერვები საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების მაქსიმუმ 1.25%-ის ოდენობით	3,759,246	21,980,719

მეორადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებებამდე	90,176,959	134,504,087
სულ საზედამხედველო კაპიტალი	326,927,233	418,561,315

## 6. ბანკის სტრუქტურა

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ (შემდგომში „ბანკი“) 1995 წლის 7 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სახელწოდებით. თბილისის ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ბანკს მიანიჭა სარეგისტრაციო ნომერი 202906427. 2006 წლის 7 დეკემბერს ბანკმა შეიცვალა სახელი და ეწოდა „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. ბანკი საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „სებ“-ი) მიერ 1995 წლის 19 მაისს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი არ ფლობს შვილობილ კომპანიებს.

## 7. აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიმოქცევაში გამოშვებული აქციების 1%-ზე მეტს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

პარტნიორი	2022 %	2021 %
ღს „ბანკი ვეტბე“	97.38	97.38
შპს „ლაკარპა ენტერპრაიზისი“	1.47	1.47
სხვა	1.14	1.14
<b>სულ</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>

ღს „ბანკი ვეტბე“, (შემდგომში „მშობელი ბანკი“) არის ბანკის პირდაპირი მშობელი კომპანია. ჯგუფის საბოლოო მკონტროლებელ მხარე არის რუსეთის ფედერაციის მთავრობა, რომელიც მოქმედებს „ქონების ფედერალური სააგენტოს“ მეშვეობით და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობს მშობელი ბანკის გამოშვებული და მიმოქცევაში მყოფი აქციების 59.34%-ს (2021 წ.: 60.93%).

### აქციონერთა კრების მიმოხილვა და აქციონერთა უფლებები

**აქციონერთა უფლებები:** აქციონერები არ არიან პასუხისმგებელნი ბანკის ვალდებულებებზე და ატარებენ ზარალის რისკს, დაკავშირებულს ბანკის საქმიანობასთან, მათი კუთვნილი აქციების ღირებულების ფარგლებში.

ბანკის ყოველი ჩუღურები აქცია ანიჭებს აქციონერს - მის მფლობელს უფლებათა ერთნაირ მოცულობას, ბანკის ჩვეულებრივი აქციის მფლობელს-აქციონერს უფლება აქვს:

- მიიღოს მონაწილეობა აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში ხმის უფლებით, აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციის ყველა საკითხთან დაკავშირებით.
- მიიღოს დივიდენდი აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
- ბანკის ლიკვიდაციის შემდეგ მიიღოს ბანკის ქონების ნაწილი, მის მფლობელობაში არსებული აქციების ღირებულების პროპორციულად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

## 8. კორპორაციული მართვა

### აქციონერთა კრების მიმოხილვა

2022 წელს არ ჩატარებულა მორიგი აქციონერთა წლიური საერთო კრება.

*სამეთვალყურეო საბჭო და მასთან არსებული აუდიტის კომიტეტი და რისკების კომიტეტი  
სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა*

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ **2022 წლის 3 მაისს** დააკმაყოფილა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ სს “ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს **დამოუკიდებელი წევრების - ბატონ მერაბ კაკუალიასა და ბატონ გოჩა მაცაბერიძის** 2022 წლის 2 მაისის განცხადებები და შესაბამისი ცვლილებები ასახა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ ამონაწერში.

შესაბამისად, 2022 წლის 3 მაისიდან სამეთვალყურეო საბჭო აგრძელებს ფუნქციონირებას შემდეგი 4 წევრის შემადგენლობით:

- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - სერგეი სტეპანოვი;
- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - ილნარ შაიმარდანოვი;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - იულია კოპიტოვა;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ასია ზახაროვა;

2022 წლის 3 მაისიდან, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან დამოუკიდებელი წევრების გასვლის გამო ვერ ფუნქციონერებს აუდიტისა და რისკების კომიტეტები, მათი საკითხების განხილვა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

*სამეთვალყურეო საბჭოს წევრების განათლება და გამოცდილება*

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩვიან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

მათი განათლება, გამოცდილება და საქმიანი რეპუტაცია სრულად შეესაბამება და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს - სერგეი სტეპანოვს დამთავრებული აქვს სახელმწიფო უნივერსიტეტის «ეკონომიკის უმაღლესი სკოლა», ბანკებისა და საბანკო საქმიანობის სპეციალობით. სერგეი სტეპანოვს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2013 წლიდან ხელმძღვანელობს „ბანკ ვეტებს“ (სსს) შვილობილი კომპანიების კოორდინაციის სამსახურს, იგი იკავებს ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს - ილნარ შაიმარდანოვს დამთავრებული აქვს ყაზანის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სოციალური სამსახურის სპეციალობით, ასევე, აქვს მიღებული რუსეთის მთავრობასთან არსებული ფინანსური უნივერსიტეტის ეკონომისტის განათლება. ილნარ შაიმარდანოვს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2014 წლიდან იგი იკავებს ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას „ბანკ ვეტებში“ (სსს).

სამეთვალყურეო საბჭოს წევრს - იულია კოპიტოვას დამთავრებული აქვს სანკტ-პეტერბურგის ფინანსებისა და ეკონომიკისა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფინანსები და კრედიტის სპეციალობით. იულია კოპიტოვას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2017 წლიდან ხელმძღვანელობს „ბანკ ვეტებს“ (სსს) ანალიზის, კოორდინაციისა და საპროდუქტო განვითარების დეპარტამენტს, იგი იკავებს ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრს - ასია ზახაროვას დამთავრებული აქვს რუსეთის მართვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეროვნული ეკონომიკის სპეციალობით. ასია ზახაროვას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო

პილარ 3 წლიური ანგარიშგება 2022 **VTB** სს ვითიბი ბანკი ჯორჯია სფეროში, 2010 წლიდან მუშაობს ვეტებე ჯგუფში, 2018 წლიდან იგი იკავებს „ბანკ ვეტებეს“ (სსს) მმართველობითი დირექტორის პოზიციას.

**სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ჩატარების სიხშირე, წევრების დასწრების სტატისტიკა და სხდომებზე განხილული საკითხების თემატური მიმოხილვა**

**სამეთვალყურეო საბჭო**

2022 წლის განმავლობაში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 10 სხდომა, რომელთაგან 1 სხდომა ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების თანდასწრებით, ხოლო 9 დაუსწრებელი კენჭისყრით, გამოკითხვის წესით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მონაწილეობა შეადგენდა 100 %-ს.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხილული ძირითადი საკითხები მოიცავდა: საკადრო საკითხებს, ბიზნესგეგმის შესრულების ანგარიშებს, შიდა აუდიტისა და აუდიტის კომიტეტის საქმიანობას, რისკების კომიტეტის საქმიანობას, ბანკის განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებით საკითხებს, შიდა (კომპლენს) კონტროლის და ფინანსური მონიტორინგის კუთხით გაწეულ საქმიანობას, შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტების დამტკიცებას, როგორცა: მესამე მხარეების რისკების მართვის პოლიტიკა, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ გაჯანსაღების გეგმა, რისკ-აპეტიტის საკონტროლო მაჩვენებლები.

**აუდიტის კომიტეტი**

2022 წლის განმავლობაში აუდიტის კომიტეტის სხდომები ტარდებოდა საჭიროებიდან გამომდინარე. გადაწყვეტილებები მიიღებოდა დაუსწრებელი კენჭისყრით, გამოკითხვის წესით. აუდიტის კომიტეტის მიერ განხილული ძირითადი საკითხები მოიცავდა: შიდა აუდიტის სამმართველოს კვარტალურ და შიდა აუდიტის სამმართველოს მუშაობის წლიურ გეგმას.

**სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი**

რისკების კომიტეტის დამოუკიდებელი წევრების მიერ თავიანთი უფლებამოსილების შეწყვეტის გამო რისკების კომიტეტის სხდომები არ ჩატარებულა.

**სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატისა და გენერალური დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის დელეგირების სისტემა**

სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატისა და გენერალური დირექტორის კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ წესდებით. პასუხისმგებლობის დელეგირება შესაძლებელია შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ბანკში მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ დებულება, რომლის შესაბამისადაც და ლიმიტების ფარგლებში მტკიცდება ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.

**დირექტორატი და დირექტორატთან არსებული კომიტეტები**

**დირექტორატის შემადგენლობა**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დირექტორატის შემადგენლობა განსაზღვრული იყო 6 წევრით:

- გენერალური დირექტორი - არჩილ კონცელიძე;
- ფინანსური დირექტორი - მამუკა მენთეშაშვილი;
- საცალო ბიზნესის დირექტორი - ნათია თხილაიშვილი;

კორპორატიული ბიზნესის დირექტორი - ვლადიმერ რობაქიძე;  
რისკების დირექტორი - ნიკო ჩხეტიანი;  
საოპერაციო დირექტორი - ირაკლი დოლიძე

დირექტორატთან არსებული კომიტეტები:

საზედამხედველო სანქციების გამო, რომლის შედეგაც ბანკს შეეზღუდა ყველა სახის აქტიური ოპერაცია, დირექტორატთან არსებულ კომიტეტებს სხდომები არ ჩაუტარებიათ.

### **დირექტორატის წევრთა განათლება და გამოცდილება**

დირექტორატის წევრები ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. მათი განათლება, გამოცდილება და საქმიანი რეპუტაცია სრულად შესაბამეა და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გენერალურ დირექტორს - არჩილ კონცელიძეს აქვს მიღებული საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის განათლება, მანქანათმშენებლობის დარგში, ასევე აქვს მიღებული ამერიკის წმ. ბონავენტურას უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი კორპორატიული ფინანსების განხრით. არჩილ კონცელიძეს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება, 2009 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის პოზიციას.

ფინანსური დირექტორს - მამუკა მენტეშაშვილს აქვს მიღებული განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მანქანათმშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით, ასევე აქვს მიღებული განათლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობით. მამუკა მენტეშაშვილს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2009 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ დირექტორის პოზიციას.

საცალო ბიზნესის დირექტორს - ვალერიან გაბუნას აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვის სპეციალობით. ასევე აქვს მიღებული ჩესტერის უნივერსიტეტის ბიზნეს-სკოლის ბიზნესის მაგისტრის ხარისხი. ვალერიან გაბუნას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, 2010 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ საცალო ბიზნესის დირექტორის პოზიციას.

კორპორატიული ბიზნესის დირექტორს - ვლადიმერ რობაქიძეს აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და მართვის სპეციალობით. აქვს ასევე მიღებული ამავე უნივერსიტეტის განათლება სამართალმცოდნეობის სპეციალობით. ვლადიმერ რობაქიძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2011 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ კორპორატიული ბიზნესის დირექტორის პოზიციას.

რისკების დირექტორს - ნიკო ჩხეტიანს აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით, აქვს მიღებული ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი. ნიკო ჩხეტიანს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2008 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ დირექტორის პოზიციას.

საოპერაციო დირექტორს - ირაკლი დოლიძეს აქვს მიღებული ამერიკის ინდიანაპოლისის უნივერსიტეტის განათლება, ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხით. ასევე აქვს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით. ირაკლი დოლიძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2009 წლიდან იგი იკავებდა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ ვიცე-პრეზიდენტი-პერსონალის სამმართველოს უფროსის პოზიციას, ხოლო 2015 წლიდან - საოპერაციო დირექტორის პოზიციას.

## **დირექტორატის მიმოხილვა პასუხისმგებელი სფეროების მიხედვით**

დირექტორატის შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგი პასუხისმგებელი სფეროების მიხედვით: ფინანსური, კორპორატიული და მცირე ბიზნესის, რისკების, საცალო ბიზნესის და საოპერაციო.

### **9. ბანკის სტრატეგია**

ვითიბი ბანკი ჯორჯია მომდევნო სამი (2020-2022) წლის სტრატეგიული გეგმა მოიაზრებს ბანკის არსებული ფილიალების და სერვისცენტრების ქსელის ოპტიმიზირებას, მათი მაქსიმალური დატვირთვით გამოყენებას, აგრეთვე ელექტრონული გაყიდვის არხების შემდგომ განვითარებას და მათი მეშვეობით ბანკის სტრატეგიული მიზნების შესრულების უზრუნველყოფას.

საზედამხედველო სანქციების გამო, აღნიშნული სტრატეგიის შემდგომი რეალიზაცია გარკვეული დროით გადაიდო.

### **10. რისკების მართვა**

#### **10.1. ბანკის რისკის სტრატეგია**

##### **საერთო დებულებები**

ბანკის რისკების მართვა ხორციელდებოდა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ რისკებსა და კაპიტალის მართვის სტრატეგიის (შემდგომ „რისკების სტრატეგია“), რისკ-აპეტიტის ჩარჩოსა და ბანკისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკების მართვის ფუნდამენტური დოკუმენტების საფუძველზე.

წინამდებარე ანგარიშის შესავალ ნაწილში აღწერილი მიზეზების გამო, ბანკის მიერ მთლიანად იქნა შეჩერებული აქტიური საკრედიტო, სავალუტო და საინვესტიციო საქმიანობა, რის გამოც კონსერვაციის რეჟიმში იქნა გადაყვანილი საკრედიტო რისკისა და საბაზრო რისკის მართვის საქმიანობა. აღნიშნულის შედეგად, შეჩერებულ იქნა აღნიშნულ რისკების მართვის პროცესები და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფუნქციონირება. აღნიშნულ პერიოდში ძირითადი რესურსები მიმართული იყო ბანკის ნარჩენი რისკების მართვის პროცესზე.

##### **სტრატეგიული მიზნები და ამოცანები**

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ბანკი ინარჩუნებდა, თუმცა ძალზე შეზღუდული მასშტაბებით, შესაძლო რისკების, შემოსავლების მიუღებლობის/ ფინანსური დანაკარგების თავიდან აცილებისა და მინიმინიზაციის სტრატეგიას.

ბანკის რისკების ძირითად სტრატეგიულ ამოცანებად კლავ დარჩა მარეგულირებელი და საზედამხედველო ორგანოების მოთხოვნების შესრულება, ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების იდენტიფიცირება, რისკების ანალიზი, ბანკის რისკების შეფასება რისკ-აპეტიტის მაჩვენებლების გამოყენებით, რისკების დასაფარად კაპიტალის ადეკვატურობის დონის უზრუნველყოფა და მუდმივი კონტროლი, კრიზისულ სიტუაციებში ბანკის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა და რისკისა და კაპიტალის მართვის სისტემის ფუნქციონირება.

##### **რისკებისა და კაპიტალის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა**

რისკებისა და კაპიტალის მართვის ფუნქციები ბანკში ხორციელდება შემდეგი კოლეგიალური ორგანოებისა და ბანკის რისკებისა და კაპიტალის მართვის სისტემა სხვა მონაწილეების მიერ:

- აქციონერთა საერთო კრება;

- სამეთვალყურეო საბჭო;
- დირექტორატი;
- უფლებამოსილი თანამდებობის პირები/ ჯგუფები, სტრუქტურული ქვედანაყოფები.

აქტიური ოპერაციების შეზღუდვამ გამოიწვია რიგი კოლეგიალური მუშა ორგანოს საქმიანობის შეჩერება, რის გამოც ნარჩენი რისკების მართვის პროცესების კონცენტრაცია მოხდა დირექტორატისა და უფლებამოსილი თანამდებობის პირების/ ქვედანაყოფების დონეზე.

## 10.2. რისკ-აპეტიტი

რისკ-მენეჯმენტის ერთ-ერთ ძირითადი პრინციპს წარმოადგენს ბანკის საქმიანობის მართვა რისკ-აპეტიტის გათვალისწინებით.

ბანკის რისკ-აპეტიტს განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო.

რისკ-აპეტიტი წარმოადგენს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების სისტემას, რომელიც განსაზღვრავს რისკების აგრეგირებულ დონეს (პროფილს), რომელსაც ბანკი დაინტერესებული პირების მოთხოვნების გათვალისწინებით, შეუძლია და/ან სურს აიღოს განვითარების დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სამომავლოდ.

რისკ-აპეტიტი შედგება მაღალი დონის რისკ-აპეტიტისაგან, ცენტრალიზებული (ჯგუფის დონეზე განსაზღვრული) რისკ-აპეტიტის მაჩვენებლებისაგან, რომელიც ალოცირებულია ბანკზე ჯგუფის მიერ და ლოკალური რისკ-აპეტიტის მეტრიკისაგან, რომელიც განსაზღვრულია ბანკის რისკ-მენეჯმენტისათვის საზედამხედველო მოთხოვნების და შიდა საჭიროებების შესაბამისად.

ბანკის მაღალი დონის რისკ-აპეტიტი მოიცავს ხარისხობრივი ხასიათის საბაზო დებულებებს (ორიენტირებს).

### *რისკ-აპეტიტი რაოდენობრივი მაჩვენებლების კლასიფიკაცია*

რისკ-აპეტიტის რაოდენობრივი მაჩვენებლები ფორმირდება კატეგორიებად შემდეგი საბაზო ჯგუფების ფარგლებში:

- ზარალის ოდენობა რისკების მიხედვით;
- კაპიტალის ადეკვატურობა;
- ლიკვიდობა;
- საბაზრო რისკი;
- აქტივებისა და პასივების სტრუქტურა;
- საკრედიტო კონცენტრაცია.

### *რისკ-აპეტიტი საკონტროლო მაჩვენებლები*

ბანკის რისკ-აპეტიტის რაოდენობრივი მაჩვენებლების (მეტრიკის) მოცულობის (დონის) დასადგენად გამოიყენება საკონტროლო მაჩვენებელთა შემდეგი სისტემა:

- **მიზნობრივი დონე (მწვანე ზონა)** - უზრუნველყოფს ბანკის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად აღებული რისკების ოპტიმალურ დონეს;
- **ტრიგერი (ყვითელი ზონა)** - საკონტროლო მაჩვენებელი, რომლის დარღვევა გულისხმობს ესკალაციას და რისკის შესამცირებლად ღონისძიებების შემუშავებას;
- **ლიმიტი (წითელი ზონა)** - კრიტიკული მნიშვნელობა, რომლის დარღვევა საფრთხეს უქმნის ბანკის ფინანსურ სტაბილურობას და საჭიროებს რეაგირების საგანგებო გეგმის შემუშავებას.

პილარ 3 წლიური ანგარიშგება 2022 **VTB** სს ვითობი ბანკი ჯორჯია ინფორმაცია რისკ-აპეტიტის მაჩვენებლების შესრულების შესახებ შეიტანება რისკების თაობაზე ანგარიშგებაში და წარედგინება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ყოველკვარტალურად.

### 10.3. ძირითადი რისკები

#### *ძირითადი რისკების მიმოხილვა*

ბანკი ახდენს რისკების იდენტიფიცირებას, რომელსაც იგი ექვემდებარება ან შეიძლება დაექვემდებაროს. მოცემული იდენტიფიცირების ფარგლებში, მათ შორის განისაზღვრება ბანკისათვის ძირითადი (არსებითი) რისკების სახეები. რისკების იდენტიფიცირების პროცედურები რეგულირდება ბანკის ცალკეული დოკუმენტებით, რომელიც ითვალისწინებს საზედამხედველო მოთხოვნებს.

ბანკი, მისი სიდიდის, საქმიანობის ხასიათისა და მასშტაბებიდან გამომდინარე განსაზღვრავს რისკების შემდეგ არსებით სახეებს:

- საკრედიტო რისკები (დეფოლტის რისკი, მიგრაციის რისკი);
- საბაზრო რისკები (საბანკო წიგნის პროცენტული რისკი, სავალუტო რისკი ღია საბანკო წიგნის სავალუტო პოზიციის მიხედვით);
- ლიკვიდობის რისკი;
- საოპერაციო რისკი (რისკის ქვესახეების ჩათვლით მოდელის რისკის გარდა);
- ლიკვიდობის წყაროს კონცენტრაციის რისკი (კონცენტრაციის რისკის ქვესახე).

მნიშვნელოვანი რისკების სახეებს:

- კონტრაგენტის საკრედიტო რისკი, ნარჩენი საკრედიტო რისკი (საკრედიტო რისკის ქვესახეები);
- ნაჩენი საბაზრო რისკი (საბაზრო რისკის ქვესახეები);
- დაკავშირებული მსესხებლთა ჯგუფის საკრედიტო რისკი, ერთ ვალუტაში ნომინირებული მოთხოვნების საკრედიტო კონცენტრაციის რისკი, დარგობრივი საკრედიტო კონცენტრაციის რისკი (კონცენტრაციის რისკის ქვესახეები).

ბანკი უმნიშვნელო რისკები სახეებს:

- ქვეყნის საკრედიტო კონცენტრაციის რისკი, უზრუნველყოფის სახეების კომცენტრაციის რისკი, ფინანსური ინსტრუმენტების კონცენტრაციის რისკი (კონცენტრაციის რისკის ქვესახეები);
- ქვეყნის (პოლიტიკურ)რისკი\*;
- უძრავი ქონების რისკი\*;
- მოდელის რისკი (ოპერაციული რისკის ქვესახე);
- შესაბამისობის რისკი;
- რეპუტაციულ რისკი;
- სტრატეგიული რისკი.

არააქტუალური ბანკისათვის რისკების სახეებს:

- სეკურიტიზაციის რისკი (საკრედიტო რისკის ქვესახე);
- სავაჭრო წიგნის საბაზრო რისკი (საბაზრო რისკის ქვესახე);
- სადაზღვევო რისკი;
- საპენსიო რისკი.

ძირითადი რისკების მართვის სისტემა გულისხმობს ყოველი ძირითადი რისკების მართვის სისტემისა და ბანკის რისკ-მენეჯმენტის მართვის სისტემის ერთობლიობას, რომელიც მოქმედებს დაწესებული ჯგუფის სტანდარტების

\* დოკუმენტში ამ რისკის მიმოხილვა ჩართული არ არის.

გათვალისწინებით.

რისკების მართვა ბანკში ეფუძნება:

- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონს, სხვა საკანონმდებლო აქტებს, ეროვნული ბანკის ნორმატიულ დოკუმენტებს და მოთხოვნებს;
- ვეტებე ჯგუფის შესაბამისი მარეგულირებელ დოკუმენტებს.
- საბანკო ზედამხედველობის ბაზელი კომიტეტის რეკომენდაციებს, ასევე ევროპული საბანკო ზედამხედველობის რეკომენდაციებს და სტანდარტებს.

ბანკის ძირითადი რისკების მართვის მიდგომები ხორციელდება საზედამხედველო მოთხოვნებისა და ჯგუფის სტანდარტების გათვალისწინებით ბანკის რისკ-პროფილის, აღებული რისკების თანაზომადებიდან გამომდინარე. საანგარიშო პერიოდში, რისკების იდენტიფიცირების სისტემა ფუნქციონირებდა შეზღუდულ რეჟიმში აქტიური საკრედიტო, საბაზრო და საინვესტიციო საქმიანობის შეჩერების გამო.

### *რისკ-მენეჯმენტის სტრუქტურა*

რისკების შეფასებისა და მართვის პროცედურები, სხვა პირობები ბანკის დონეზე განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და სხვა შესაბამისი კომიტეტების (საკრედიტო კომიტეტი, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი და რისკ-მენეჯმენტის კომიტეტი) დადგენილებებით. საზედამხედველო სანქციების გამო აღნიშნული კომიტეტები 2022 წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკის რისკ-მენეჯმენტის საქმიანობა 2022 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა არასრული მოცულობით.

ბანკის უფლებამოსილი ორგანოების მიერ რეალიზდება შემდეგი უფლებამოსილებები:

#### 1) აქციონერთა საერთო კრება

- ბანკის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებები შეტანა;
- ბანკის რეორგანიზაციის ან ბანკის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- სამეთვალყურეო საბჭოს რაოდენობრივი შემადგენლობის განსაზღვრა, მისი წევრების არჩევა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების ნებისმიერ დროს შეწყვეტა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- წლიური ფინანსური ანგარიშგების შემოწმებისა და უტყუარობის დასადასტურებლად ბანკის გარე აუდიტის დამტკიცება;
- ნებადართული აქციების რაოდენობისა და მათი ნომინალური ღირებულების განსაზღვრა;
- განუთავსებელი აქციების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- აქციათა დაყოფის ან კონსოლიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- დამატებითი აქციების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმება;
- დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
- მოგების განაწილების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების მიღება ან უარყოფა;
- წლიური დივიდენდის ოდენობისა და გადახდის, ასევე გადახდის ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- კანონმდებლობის შესაბამისად, აქციათა გამოსყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომლის ღირებულება აღემატება ბანკის აქციების ღირებულების 50%-ს;
- აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის მარეგლამენტირებელი შიდა დოკუმენტების დამტკიცება;

- სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ასევე ამ პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნა.
- 2) სამეთვალყურეო საბჭო
- განსაზღვრავს და კოორდინირებს ახდენს ბანკის საერთო პოლიტიკას რისკების ცალკეული სახეების სფეროში, რისკების მართვის სფეროში სტრატეგიულ ორიენტირებს ბანკში;
  - ამტკიცებს ბანკის რისკებისა და კაპიტალის მართვის სტრატეგიას, მათ შორის მაღალი დონის რისკ-აპეტიტის და რისკ-აპეტიტის მეტრიკის ჩამონათვალს;
  - განსაზღვრავს უფლებამოსილი კოლეგიალური ორგანოების სისტემას რისკის მართვის მიზნით;
  - იღებს გადაწყვეტილებებს რისკების მართვის საკითხებზე შემთხვევებში, რომლებიც არ შედის ბანკის სხვა უფლებამოსილი (ქვემდებარე) მმართველობითი ორგანოს კომპეტენციაში;
  - იხილავს ანგარიშგებას რისკების შესახებ თავის კომპეტენციის ფარგლებში.
- 3) სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი  
(საანგარიშო პერიოდში კომიტეტის სხდომები არ გამართულა)
- ახდენს ბანკის რისკისა და კაპიტალის მართვის სტრატეგიის წინასწარ განხილვას, ბანკის რისკების მართვის საქმიანობის პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრას;
  - წარუდგენს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს ბანკის რისკების აპეტიტის, ასევე ბანკის რისკების სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკების მიმართ კაპიტალის შენარჩუნებისა და ალოცირების თაობაზე;
  - ეწევა ბანკის ყველა დონეზე გონივრული რისკ-კულტურის დანერგვას;
  - ახდენს ბანკში რისკების მართვის სისტემის ეფექტურობის შეფასებას;
  - კონტროლს უწევს რისკების მინიმიზაციის მიზნით ეფექტური ზომების განხორციელებას.
- 4) დირექტორატი
- ამტკიცებს რისკების სფეროში მარეგლამენტირებელ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს იმ დოკუმენტების გამოკლებით, რომლებიც განსაზღვრავენ ბანკის პოლიტიკებს და სტრატეგიულ მიმართულებებს;
  - იღებს გადაწყვეტილებებს რისკები მართვის საკითხებზე, რომლებიც არ შედიან ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციის წრეში;
  - იხილავს ანგარიშგებას რისკების შესახებ თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
- 5) აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი, საკრედიტო კომიტეტი და რისკ-მენეჯმენტის კომიტეტი 2022 წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდნენ სახუდამხედველო სანქციების გამო. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული კომიტეტების ფუნქციები ხორციელდებოდა დირექტორატის მიერ.
- 6) რისკების სამმართველოს ფუნქციები კონცენტრირებული იყო ბანკის ძირითადი და ნარჩენი რისკების მართვაზე, ნორმატიული მოთხოვნების შესრულებაზე, რისკების ანალიზსა და რისკების თაობაზე ანგარიშგების მომზადებაზე.
- 7) კომპლანენს კონტროლის და ფინანსური მონიტორინგის სამმართველო
- ხელს უწყობს შესაბამისობის რისკების მართვის ეფექტური სისტემის შექმნას;
  - შეიმუშავებს შესაბამისობის რისკების მართვასთან დაკავშირებით ძირითად მოთხოვნებს;
  - უზრუნველყოფს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების (ML/TF) წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის/პროგრამის დანერგვას, მათ შორის შიდა პოლიტიკა-პროცედურების შემუშავებას, რანჯაქციების მონიტორინგს, თანამშრომელთა სწავლებას/ტრენინგების ჩატარებას, საერთაშორისო სანქციების რეჟიმის დაცვას.

- რისკზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ML/TF რისკების მართვას, მათ შორის კლიენტების მიღების პოლიტიკას, პროდუქტების და მომსახურებების შეფასებას, აგრეთვე მიწოდების არხებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების გამოვლენას;
- უზრუნველყოფს მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან ბანკზე ზემოქმედების რისკის, ბანკის რეპუტაციის დაკარგვის ან ბანკის ფინანსური დანაკარგების რისკების მართვის ეფექტურ უწყვილონირებას, რომელიც/რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს კანონმდებლობის, წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობამ (შესაბამისობის რისკები);
- ახორციელებს შესაბამისობის (მათ შორის ML/TF) რისკების მიმდინარე მონიტორინგს და კონტროლს და ბანკის მმართველობით/კოლეგიალურ ორგანოებს წარუდგენს ანგარიშს ამგვარი კონტროლის შედეგად გამოვლენილი შესაბამისობის რისკების მართვის თაობაზე;
- აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გაზარდოს შესაბამისობის რისკი და მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ ბანკზე, როგორცაა ბანკის ბიზნესსაქმიანობა, ბიზნესსაქმიანობასთან და ეთიკურ სტანდარტებთან შეუსაბამობების მოცულობა და მნიშვნელობა, სასამართლო დავებისა და კლიენტების საჩივრების/პრეტენზიების რაოდენობა და მნიშვნელობა.

#### 8) აუდიტის კომიტეტი

- განსაზღვრავს ბანკის ფინანსური ანგარიშგების მიდგომებსა და პოლიტიკას შიდა კონტროლის საკითხებზე აკონტროლებს ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე პროცესს და ადასტურებს გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებას; ატარებს მონიტორინგს და აქტიურად თანამშრომლობს ბანკის როგორც შიდა ისე გარე აუდიტთან;
- აფასებს გარე აუდიტორის ეფექტურობას, გამოთქვამს მოსაზრებას გარე აუდიტორების კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს მათი კანდიდატურის, დანიშვნის, თანამდებობრივი სარგოს ან თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით;
- აკონტროლებს ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკასა და პრაქტიკას;
- განიხილავს მესამე მხარის მოსაზრებებს ბანკის რისკების მართვის ზოგადი ჩარჩოებისა და შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობისა და სტრუქტურის შესახებ;
- უზრუნველყოფს ფუნქციების ადეკვატურობას, შიდა და გარე აუდიტორების დამოუკიდებლობასა და ურთიერთთანამშრომლობას და მათ ფუნქციურ ურთიერთთანამშრომლობას
- განიხილავს გარე აუდიტორების მიერ მომზადებულ სარეკომენდაციო წერილს და აკონტროლებს დირექტორების მიერ შესაბამის ზომებს არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად;

ბანკი აყალიბებს ბანკის რისკების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე კონტროლის სისტემას. აღნიშნული სისტემა მოიცავს ყოველი ძირითადი რისკის კონტროლის ცალკეულ პროცედურებს.

ინფორმაცია აღნიშნული შემოწმების საქმიანობის შედეგების შესახებ ეგზავნებათ ბანკის ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს და ბანკის პროფილურ ქვედანაყოფებს ძირითადი რისკების მართვის ეფექტურობის ანალიზისათვის, შესაბამისი აუცილებელი მაკორექტირებელი ქმედებების განსახორციელებლად (გამოვლენილი დარღვევების, შეცდომების, ნაკლოვანებების აღმოფხვრა და პროცესების სრულყოფის მიზნით).

ძირითადი რისკების მართვის პროცედურები და მეთოდები დეტალურად რეგულირდება ბანკის შიდა დოკუმენტებით, რომლებიც დამტკიცებულია უფლებამოსილი ბანკის კოლეგიალური ორგანოების მიერ.

#### 10.4. საკრედიტო რისკი

**საკრედიტო რისკი** არის კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით განსაზღვრული ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, არადროული შესრულების ან არასრული შესრულების შედეგად ზარალის წარმოქმნის რისკი.

კერძოდ, საკრედიტო რისკი დამახასიათებელია იმგვარი ოპერაციებისათვის, როგორცაა:

- დაკრედიტება;
- გარანტიის გაცემა, აკრედიტივების გახსნა და დადასტურება;
- სავალო ფასიანი ქაღალდების შექმნა;
- გარიგებათა მიხედვით უფლების (მოთხოვნის) შექმნა;
- ოქროსა და ფასიანი ქაღალდების სესხება;
- ფინანსური აქტივების გაყიდვა (შემენა) გადახდის გადავადებით (ფინანსური აქტივების მიწოდება);
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებზე სავაჭრო ოპერაციების ჩატარება;
- ლიზინგური ოპერაციები;
- ფაქტორინგული ოპერაციები.

საანგარიშო პერიოდში ზემოთ დასახელებული ოპერაციები მთლიანად იქნა შეჩერებული.

ამ ვითარებაში ბანკის მიერ აღებული საკრედიტო რისკის პროფილი (სტრუქტურა) განისაზღვრებოდა საშუალო ბიზნესის კორპორატიული და მცირე ბიზნესის კლიენტების საკრედიტო მოთხოვნებით, რომელთა მიმართ ბანკი განაგრძნობდა სესხების მომსახურების რეჟიმს. აქტიური საკრედიტო საქმიანობის შეჩერებამ გამოიწვია საკრედიტო რისკის მართვის იმ ინსტრუმენტების, მეთოდებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, რომელსაც ბანკი აქტიურად მიმართავდა სანქციების დაწესებამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულად შეიძლება რისკის აღებასთან დაკავსირებული უფლებამოსილებები, საკრედიტო რისკის შეფასების, საკრედიტო რისკის შეზღუდვებისა და შემცირების სისტემა.

### **რისკების შეფასების სისტემა**

ბანკის საკრედიტო რისკის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი უნივერსალური მიდგომები (სტანდარტები):

#### **1) კორპორატიული საკრედიტო რისკის შეფასების ნაწილში**

ყოველი მნიშვნელოვანი ტიპის/კლასის კონტრაგენტისათვის (ბანკში დადგენილი კლასიფიკაციის შესაბამისად) გამოიყენება კონტრაგენტების კრედიტუნარიანობის შეფასების (რეიტინგის) შესაბამისი შიდა მეთოდოლოგიები, რომლის შედეგადაც განისაზღვრება კონტრაგენტის შიდა რეიტინგი და მისი შესაბამისი კონტრაგენტის დეფოლტში გასვლის ჰიპოთეტური ალბათობა შემდეგი 12 თვის განმავლობაში (დეფოლტის ალბათობა). ბანკის შიდა რეიტინგული სისტემა გადის პეროდულ ექსპერტიზას/ ვალიდაციას ბანკში დადგენილი წესის შესაბამისად.

#### **2) საცალო საკრედიტო რისკის ნაწილში (შეჩერებულია)**

### **რისკის შეზღუდვისა და შემცირების მეთოდები**

ბანკში საკრედიტო რისკების მართვის ძირითადი მიმართულებები (მეთოდები) განისაზღვრება ჯგუფში საკრედიტო რისკების მართვის სტანდარტებით.

საკრედიტო რისკის შეზღუდვისა და საკრედიტო რისკის დონის კონტროლის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს **საკრედიტო ლიმიტების სისტემა**. ბანკის ლიმიტების სისტემა აერთიანებს, როგორც ბანკის ჯგუფისა და ლოკალურ დონეზე განსაზღვრულ, ასევე პრუდენციალურ ლიმიტებს და შეზღუდვებს. ეს ლიმიტები ზღუდავენ როგორც კონკრეტულ კლიენტებთან ან დაკავშირებულ ჯგუფთან ოპერაციების მოცულობებს, ასევე საკრედიტო რისკების კონცენტრაციას დონეს სხვადასხვა საქმიანობის მიმართულებებისა და ინსტრუმენტების მიხედვით.

ბანკის დონეზე საკრედიტო რისკის საზედამხედველო ლიმიტების სახით მიიღება ლიმიტები საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების (სავალდებულო ნორმატივები) შესაბამისად.

ბანკის უნიფიცირებული და ლოკალური მიდგომების ფარგლებში აღებული საკრედიტო რისკის შესამცირებლად

პილარ 3 წლიური ანგარიშგება 2022 **VTB** სს ვითიბი ბანკი ჯორჯია ბანკი იყენებს უზრუნველყოფას, მათ შორის მათ შემდეგ ძირითად სახეებს: გირაოს, იპოთეკას, თავდებობას, საბანკო გარანტიას, სახელმწიფო და მუნიციპალურ გარანტიებს.

უზრუნველყოფის არსებობა, რომელიც პასუხობს ბანკის მოთხოვნებს და მისი საკმარისობა გაითვალისწინება საკრედიტო გარიგების მიხედვით ღირებულების პირობების განსაზღვრისას, ასევე საკრედიტო გარიგების მიხედვით გადაწყვეტილების მიღებისას.

საგირავნო გარიგების ექსპერტიზის ჩატარებისას ბანკში განისაზღვრება უზრუნველყოფის საგნის საბაზრო და საგირავნო ღირებულება.

### **მონიტორინგის პროცედურები**

ბანკში ხორციელდება საკრედიტო პორტფელის მდგომარეობის მონიტორინგი დაწესებული საკონტროლო პორტფელური ლიმიტების (შეზღუდვების) დაცვის მიზნით, ასევე რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცედურების ფარგლებში.

საკრედიტო რისკის დონის მონიტორინგის მიზნით წესდება ბანკის რისკ-აპეტიტის მეტრიკები და საკონტროლო მნიშვნელობები (მიზნობრივი დონე, ტრიგერი, ლიმიტი, ყველა ერთად ან რომელიმე, გამოყენების მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) და სტანდარტიზებული ქმედებები, რომლებიც საჭიროა რისკ-აპეტიტის საკონტროლო მაჩვენებლების მიღწევისას.

### **შიდა ანგარიშგება**

ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და რისკის მართვის სისტემის შესახებ აქციონერებს, კრედიტორებს და სხვა დაინტერესებული მხარეებს ინფორმირების მიზნით, ბანკი რეგულარულად ახდენს გარე ანგარიშგების მომზადებას ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის საკრედიტო რისკების მართვის საკითხების ჩათვლით.

საკრედიტო რისკების მიხედვით შიდა ანგარიშგება, რომელსაც აყალიბებს ბანკი, მოიცავს საკრედიტო რისკის მართვისათვის აუცილებელ ინფორმაციას საკრედიტო პორტფელის დინამიკისა და სტრუქტურის, რისკ-აპეტიტის (საკრედიტო რისკის მიხედვით) მეტრიკის შესრულების, რეზერვების დონის მიხედვით, აგრეთვე დადგენილი ლიმიტების დარღვევების ნაწილში აღნიშნული დარღვევების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი / მიღებული ზომების (საჭიროებისას) შესახებ.

შიდა ანგარიშგება წარედგინება ბანკის მენეჯმენტს და სათაო ბანკს დადგენილი წესით.

### **10.5. საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკის ქვეშ მოიაზრება ბანკის ფინანსური შედეგების გაუარესების რისკი აქტივ-პასივების ღირებულების (მოთხოვნების/ვალდებულებების) არახელსაყრელი ცვლილების შედეგად საბაზრო მაჩვენებლების-რისკ ფაქტორების გავლენის გამო (როგორცაა სავალუტო კურსები, საპროცენტო განაკვეთები, საკრედიტო სპრედები, აქციების კოტირებები და სხვა).

ბანკის მიერ აღებული საბაზრო რისკების ხასიათიდან და მათი მართვის მიდგომებიდან გამომდინარე, ბანკის ოპერაციები იყოფა სავაჭრო წიგნის ან საბანკო წიგნის ოპერაციებად.

სავაჭრო წიგნს მიეკუთვნება ოპერაციები, რომლებიც განხორციელებულია მოგების მისაღებად გადაფასებიდან ან სხვა სავაჭრო ოპერაციების ჰეჯირებიდან, ასევე, მათი ფინანსური შედეგი, სავალუტო პოზიცია, ფორმირებული კლიენტებთან ოპერაციების შედეგად.

პილარ 3 წლიური ანგარიშგება 2022 **VTB** სს ვითიბი ბანკი ჯორჯია საბანკო წიგნს მიეკუთვნება ოპერაციები (შემდგომ არასავაჭრო ოპერაციები), რომლებიც არ ექვემდებარებიან საბაზრო გადაფასებას (აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით), და /ან მათი საბაზრო გადაფასება არ არის დამოკიდებული საბაზრო რისკის ფაქტორებზე.

სავალუტო ოპერაციების სრულად შეწყვეტის გამო, ბანკი ახორციელებდა მხოლოდ ნარჩენი საბაზრო რისკების მართვის ფუნქციებს.

საბაზრო რისკების მართვასთან დაკავშირებული ფუნქციები შემოფარგლული იყო მინიმალური ინსტრუმენტებით, რომლის ფარგლებში ხორციელდებოდა რისკ-აპეტიტის პარამეტრების, ეროვნული ბანკის ნორმატივებისა და ჯგუფის სხვა მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა.

#### **რისკის შეფასების მეთოდები**

საბაზრო რისკების შეფასება ხორციელდება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- სავაჭრო წიგნის საბაზრო რისკის შეფასება;
- პროცენტის ცვლილების მიმართ მგძნობიარე საბანკო წიგნის ოპერაციების მიხედვით საპროცენტო რისკის შეფასება;
- სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ მგძნობიარე საბანკო წიგნის ოპერაციების მიხედვით სავალუტო რისკის შეფასება.

ბანკის ძირითადი მაჩვენებლის სახით, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს საბაზრო რისკი სავაჭრო ოპერაციების მიხედვით, არის სავაჭრო წიგნის პოზიციის სტრეს-ტესტირება შესაბამისი სცენარებით, ფინანსური შედეგების ვოლატილობის შესაფასება VaR (Value-at-Risk) ისტორიული მოდელირების მეთოდით და სავაჭრო ოპერაციების მიხედვით სავაჭრო წიგნის მიხედვით წლის დასაწყისიდან დაგროვილი ზარალი (stop-loss).

ძირითადი პარამეტრები, რომლითაც შეიძლება შეფასებულ იქნას **საპროცენტო რისკი**, არის:

- ბანკის საპროცენტო პოზიციის მგრძობიარეობა საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ, რომლის შეფასება ხდება (1) საპროცენტო პოზიციის წმინდა დისკონტირებული ღირებულების კლების ოდენობით და (2) შემოსავლიანობის მრუდის 100 საბაზისო პუნქტით არახელსაყრელი პარალელური გადახრის დროს წმინდა საპროცენტო შემოსავლის ოდენობით;
- პროცენტული რისკის დასაფარად საჭირო ეკონომიკური კაპიტალი - საპროცენტო პოზიციის წმინდა დისკონტირებული ღირებულების კლების შეფასება საპროცენტო განაკვეთების არახელსაყრელი შესაძლო ცვლილების დროს.

საბანკო წიგნის **სავალუტო რისკის** მართვას ბანკი ახდენს მიღებული მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების საფუძველზე, უზრუნველყოფს რა აქტივებისა და ვალდებულებების შესაბამისობას ვალუტების ჭრილში და ღია სავალუტო პოზიციის დაწესებული შეზღუდვების ჩარჩოში მოქცევას, მათ შორის რისკ-აპეტიტის, ღია სავალუტო პოზიციის საზედამხედველო ლიმიტების ნაწილში.

#### **რისკის მიხედვით შიდა ანგარიშგება**

ბანკის საბაზრო რისკების მდგომარეობის შესახებ ანგარიშებს ამზადებს რისკების მართვის ქვედანაყოფი იმ პერიოდულობით, რომელიც განსაზღვრულია ბანკის მარეგულირებელ და მეთოდურ დოკუმენტებში.

#### **10.6. ლიკვიდობის რისკი**

**ლიკვიდობის რისკი** არის ბანკის მიერ საკუთარი ვალდებულებების სრულად და/ან დროულად შესრულების შეუძლებლობის გამო ზარალის წარმოქმნის რისკი.

ლიკვიდობის რისკის მართვა წარმოადგენს ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ბანკის მიმდინარე გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად

ლიკვიდობის რისკის დონისა და ოპერაციების რენტაბელობის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფის პირობებში.

აქტიური საბანკო ოპერაციების შეზღუდვამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ლიკვიდობის მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე, რამდენადაც ბანკმა დაკარგა ლიკვიდობის მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები, როგორც არის მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური რესურსი და სხვა შიდა წყაროები. ლიკვიდობის მართვა ბანკში ხორციელდებოდა შეზღუდული შიდა რესურსების ხარჯზე და კრიზისული ვითარების სიტუაციისათვის დამახასიათებელ ვითარებაში.

მიუხედავად შექმნილი გარემოებებისა, ბანკმა შეძლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებული ყველს საზედამხედველო ნორმატივებისა და შიდა ლიმიტების დაცვა.

საანგარიშო პერიოდში ბანკის მიერ დაცული იყო ლიკვიდობის მართვის ყველა საზედამხედველო და შიდა მოთხოვნა და პროცედურა, რომელიც ითვალისწინებდა ბანკის ლიკვიდობის მდგომარეობის პროგნოზირებას და სიტუაციურ მოდელირებას, სხვადასხვა სცენარების ანალიზის გათვალისწინებით გაანგარიშებული ბანკის ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგს, შემოდინების და გადინების მოცულობებს შორის შეუსაბამობის გამოვლენის მიზნით, ბანკის ლიკვიდობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე საკვანძო შიდა და გარე ფაქტორების განსაზღვრას და მონიტორინგს, სახაზინო პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების ხარისხზე მოთხოვნების ფორმირებას, სეზონის მიერ დადგენილი ბანკის საშუალო ლიკვიდობის (Liquidity Average Ratio), ლიკვიდობის გადაფარვის (Liquidity Coverage Ratio) და წმინდა სტაბილური დაფინანსების (Net Stable Funding Ratio, NSFR) კოეფიციენტების შესრულების კონტროლს, აქტივებისა და/ან პასივების მართვის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებას და რეალიზაციას, ბანკის მიმდინარე და პროგნოზული ლიკვიდობის მდგომარეობის ამსახველი შიდა ანგარიშგების ფორმირებას.

### 10.7. საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის ბანკის ზარალის რისკი, რომელიც ადგილი აქვს არაადეკვატური ან უუნარო შიდა პროცესების და სისტემების, პერსონალის მიერ მათი დარღვევების ან გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

მოცემული განმარტება მოიცავს სამართლებრივ რისკს, მაგრამ გამორიცხავს სტრატეგიულ და რეპუტაციის რისკებს.

საოპერაციო რისკების მართვის საქმეში ბანკი ხელმძღვანელობს სეზონის დებულებით „კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ“, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ საოპერაციო რისკების მართვის სფეროში მიღებული დოკუმენტების, ასევე ვეტებე ბანკის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტებით.

ბანკი საოპერაციო საქმიანობას წარმართავს საოპერაციო რისკების მართვის დებულების, საოპერაციო რისკების შეფასების წესის შესახებ დებულების, საოპერაციო რისკისა და შესაბამისობის რისკების მაჩვენებლებზე მონაცემების შეკრებისა და საოპერაციო რისკის ანგარიშგების ფორმირების წესის შესახებ ინსტრუქციის, ბანკის ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკისა (დებულების) და ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ჩარჩო დოკუმენტების შესაბამისად.

საოპერაციო რისკი ახასიათებს ყველა პროდუქტს, საქმიანობის მიმართულებას, პროცესებს და სისტემებს და ამიტომ საოპერაციო რისკის ეფექტური მართვა წარმოადგენს ბანკის საოპერაციო რისკების მართვის პროგრამის ერთ-ერთ ფუნდამენტურ შემადგენელს.

პილარ 3 წლიური ანგარიშგება 2022 **VTB** სს ვითიბი ბანკი ჯორჯია  
სანქციებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საოპერაციო მართვის საქმეში, რამდენადაც, ერთი მხრივ, შეიზრდა რისკ-წარმომქნელი ოპერაციების რაოდენობა და მოცულობა, მეორე მხრივ, ამ სფეროში დასაქმებული პერსონალის გადინებამ და საოპერაციო რისკის მართვის ინსტრუმენტების შეკვეცამ, გამოიწვია საოპერაციო რისკის მართვის სრულყოფილი სისტემის განვითარების შეჩერება.

საოპერაციო რისკის მართვაში ბანკის მიზნებს წარმოადგენს:

- საოპერაციო რისკის მისაღები დონის გამოვლენა, შეფასება და განსაზღვრა;
- საოპერაციო რისკის მისაღები დონის მხარდასაჭერად დროული ზომების რეალიზაციის უზრუნველყოფა;
- საოპერაციო რისკის მოვლენების რეალიზაციიდან ბანკის ფინანსური შედეგების წარმოქმნის ალბათობის შემცირება;
- საოპერაციო რისკის მართვის ეფექტურობაზე კონტროლი;
- კანონმდებლობასთან და რეგულატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

საოპერაციო რისკის მიზნებიდან გამომდინარე ბანკი წყვეტს ისეთ ამოცანებს, როგორცაა საოპერაციო რისკის დონის თაობაზე ოპერატიული და ობიექტური ინფორმაციის მიღება; საოპერაციო რისკის დონის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება (გაზომვა); ბანკის საოპერაციო რისკის ანალიზი და შეფასება პროდუქტების, პროცესებისა და სისტემების დონეზე; საოპერაციო რისკის მართვის სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც პასუხობს ნორმატიულ და საკანონმდებლო მოთხოვნებს საოპერაციო რისკის მართვისა და კონტროლის სფეროში და რისკის მოვლენების რეალიზაციის შედეგების მინიმიზაციას.

რისკების მაჩვენებლებზე მონაცემების შეკრებისა და საოპერაციო რისკის ანგარიშგების ფორმირების წესი რეგულირდება შესაბამისი ინსტრუქციის შესაბამისად.

რისკის მოვლენის შესახებ მონაცემების შეკრების პროცესის ძირითადი ეტაპებია: რისკის მოვლენის გამოვლენა (იდენტიფიცირება), კლასიფიკაციის ჩატარება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით, რისკის მოვლენის წარმოქმნის მიზეზების ანალიზი და შედეგების შეფასება; რისკის მოვლენის და მასთან დაკავშირებული შედეგების რეგისტრაცია, რედაქტირება და შეთანხმება, გამოვლენილი რისკის მოვლენის შესახებ მონაცემების აქტუალიზაცია; რისკის მოვლენის შედეგების დარეგულირების ღონისძიებათა გეგმების შემუშავება და მომავალში რისკის მოვლენის წარმოქმნის რისკის შემცირება.

რისკის მოვლენის და მასთან დაკავშირებული შედეგების შესახებ ინფორმაციის შეკრება ბანკში ხორციელდება მულტივალ და მოიცავს საქმიანობის ყველა მიმართულებას.

საოპერაციო რისკის დონის კონტროლის მიზნით ბანკში გამოიყენება შემდეგი ძირითადი მიდგომები, როგორცაა ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განაწილება, უფლებამოსილებათა ლიმიტირება, გადაწყვეტილებების კოლეგიალურად მიღება, ორმაგი კონტროლის მექანიზმების პრინციპების გამოყენება; ინფორმაციული უსაფრთხოების ფარგლებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, ინფორმაციის მრავალდონიანი დაცვის გამოყენება; მატერიალურ აქტივებთან დაშვების შეზღუდვა; აუტოსორსიგი; სხვა რელევანტური ღონისძიებების გატარება.

### **რისკ-აპეტიტი**

საოპერაციო რისკის ნაწილში რისკ-აპეტიტი შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც დანაკარგების ოდენობა, რომელიც ბანკი მზად არის მიიღოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის მქონე განსაზღვრული სტრატეგიისა და ძირითადი ფაქტორების შესაბამისად.

პილარ 3 წლიური ანგარიშგება 2022 **VTB** სს ვითიბი ბანკი ჯორჯია რისკ-აპეტიტის საკონტროლო მნიშვნელობები და მაჩვენებლების გაანგარიშების პრინციპები მუშავდება ჯგუფის დონეზე და შემდეგ ალოცირდება ბანკზე. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს საოპერაციო რისკის საკონტროლო მაჩვენებლებს რისკ-აპეტიტის ერთიანი მაჩვენებლების ფარგლებში.

### **სცენარული ანალიზი**

სცენარული ანალიზი მოიცავს რისკის მოვლენების სცენარების იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომლებმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიონ ბანკის საქმიანობასა და ფინანსურ შედეგებზე. სცენარული ანალიზი ტარდება ჯგუფის სავალდებულო სცენარებით, რომლებიც შემუშავებულია სათაო ბანკის მიერ და დამტკიცებულია ჯგუფის საკრედიტო რისკების მართვის კომიტეტის მიერ. დაშვებულია სცენარული ანალიზის ჩატარება ბანკის დონეზე შემუშავებული ლოკალური სცენარებით.

სცენარული ანალიზის მიზანია გამოავლინოს ბანკის საოპერაციო რისკის მიმართ პოტენციური დაქვემდებარების დონე, მოსალოდნელი ზარალის (შედეგების) ხდომილების ალბათობის შეფასება.

სცენარული ანალიზის შედეგად მუშავდება ანგარიში და ეგზავნება ბანკის მენეჯმენტს, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს. მთლიანი ანალიზი იგზავნება სათაო ბანკში.

### **საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშგება**

საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშგება წარმოადგენს საოპერაციო რისკების მართვის პროცესის შემადგენელ ნაწილს და უზრუნველყოფს შესაბამისი მმართველი ორგანოების მუდმივ და თავისდროულ ინფორმირებას გადაწყვეტილებების მისაღებად. ამ შემთხვევაში საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშგება უზრუნველყოფს რისკის გამჭირვალობას და საოპერაციო რისკების მართვას აქცევს ყოველდღიურ უწყვეტ პროცესად.

საოპერაციო რისკების თაობაზე ბანკი ახდენს სებ-ის ყოველთვიურ ინფორმირებას დადგენილი ფორმითა და წესით. გარდა ამისა, ყოველწლიურად ხდება წლის მანძილზე რეალიზებული დანაკარგების დაზუსტება ბიზნესის, საოპერაციო რისკის კატეგორიების მიხედვით.

საოპერაციო რისკების შესახებ შიდა ანგარიშგება წარმოებს რისკების შესახებ ბანკის რეგულარული ანგარიშგების ფარგლებში, ასევე ვეტებე-ს ჯგუფის წინაშე ანგარიშგების ფორმით და ვადებში, შიდა ნორმატიულ-მეთოდოლოგიური დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.

### **ბიზნეს უწყვეტობის გეგმა (BCP)**

ბანკს გააჩნია თავისი მასშტაბის შესაბამისი ფორმალიზებული ბიზნეს უწყვეტობის გეგმა რომელიც შედგება ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკისა და კრიზისის მართვის ინსტრუქციისგან.

ბიზნეს უწყვეტობის მართვა მოიცავს სტანდარტებისა და პროცედურების ერთობლიობას რომელიც მიმართულია საბანკო ბიზნეს პროცესების შენარჩუნების, მათი დროული აღდგენის და უმოკლეს ვადებში აღნიშნული პროცესების ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებისკენ, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი მატერილური ზარალი, თავიდან იქნეს აცილებული როგორც ბაზრის წილის დაკარგვის, ბიზნესის დაკარგვის, რეპუტაციის შელახვის და სამართლებრივი პასუხისმგებლობების რისკები.

ბანკის ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანას წარმოადგენს ბანკის ბიზნესის უწყვეტობის მართვის ღონისძიებების ორგანიზაცია და განხორციელება ბანკის ბიზნესის უწყვეტობისა და აღდგენის უზრუნველყოფის გარანტიის მიზნით, არასტანდარტული ან საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შედეგად, რომელიც შეუძლებელს ხდის ძირითადი ფუნქციების შესრულებას.

პილარ 3 წლიური ანგარიშგება 2022 **VTB** სს ვითობი ბანკი ჯორჯია  
ბანკის BCP გეგმის მიზანია არასტანდარტული ან საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში ბანკის  
ქვედანაყოფების /თანამშრომლების ურთიერთმოქმედების მკაფიო საერთო წესის, ქვედანაყოფების კრიტიკული  
სახეების აღდგენისა და ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმი დაბრუნების მოქმედებათა წესის განსაზღვრა.

ბანკი განსაზღვრავს არასტანდარტული და საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის სცენარების ჩამონათვალს და  
აღწერას, და მათთან დაკავშირებული ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმის დარღვევის ფაქტორებს,  
რომელთა მიმართ რეაგირება ხორციელდება ბიზნესის უწყვეტობის მართვის ფარგლებში.

BCP გეგმის ფარგლებში ტარდება სისტემების, პროცესების ტესტირებები, რომელთა მიზანია საქმიანობის  
კრიტიკული სახეების აღდგენა შესაბამისი სცენარების გამოყენებით. ტესტირების ეტაპზე ხდება იმის  
დადასტურება, რომ საქმიანობის კრიტიკული სახეები შეიძლება აღდგენილ იქნას და ფუნქციონირებდეს  
შესაბამისი სქემის შესაბამისად.

## **10.8. მოდელის რისკი**

მოდელის რისკი - ზარალის წარმოქმნის რისკი არასწორი ბიზნეს-გადაწყვეტილების მიღების შედეგად მოდელების  
არაკორექტული მუშაობის გამო (რისკის შეუფასებლობა), რომელიც დაკავშირებულია მოდელების შემუშავების,  
დანერგვის ან გამოყენების დროს დაშვებულ შეცდომებთან, ასევე მონაცემთა შეცდომებთან.

მოდელის სიცოცხლის ციკლი მოიცავს შემუშავების და დამტკიცების, გამოყენების, ეფექტურობის შეფასების და  
რისკის შესამცირებლად ცვლილებების შეტანის ეტაპებს. თითოეულ ეტაპზე ხორციელდება მოდელის რისკის  
შესაბამისი ამოცანები გადაწყვეტა.

მოდელის რისკის მართვა გულისხმობს მოდელის რისკის იდენტიფიკაციას, შეფასებას, მონიტორინგსა და  
კონტროლს. აღნიშნული სამუშაოები ასევე მოიცავს რისკების შემცირების ღონისძიებებს.

ბანკი ქმნის მოდელის რისკების მართვის კონტროლის სისტემას ბანკის, ჯგუფის და საზედამხედველო  
დოკუმენტების შესაბამისად.

## **10.9. სხვა რისკები**

### **10.9.1. შესაბამისობის რისკი**

შესაბამისობის რისკის მართვა მოიცავს საკანონმდებლო და საზედამხედველო სანქციების, ფინანსური  
დანაკარგების, ან ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკის მართვას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს  
კანონმდებლობის, წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობამ. შესაბამისობის რისკი საბანკო რისკების  
განუყოფელი ნაწილია, როგორცაა, მაგალითად, კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნასთან, შემოსავლიანი აქტივების  
ხარისხთან, აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვთან და დაკრედიტების ლიმიტებთან დაკავშირებული  
საკრედიტო რისკი, საერთო ღია სავალუტო პოზიციისთვის დამახასიათებელი საბაზრო რისკი, წლიური სამუშაო  
გეგმისთვის და ბანკის ბიუჯეტისათვის დამახასიათებელი სტრატეგიული რისკი და კონკრეტულ დებულებებთან  
დაკავშირებული სხვა რისკები.

შესაბამისობის რისკის მართვას და შესაბამისობის სისტემის აგებას ახორციელებს ბანკის  
დამოუკიდებელისტრუქტურული ერთეული - კომპლაენს კონტროლის და ფინანსური მონიტორინგის  
სამმართველო, რომელიც ანგარიშვალდებულია ბანკის გენერალური დირექტორის წინაშე და პასუხისმგებელია  
მათ შორის ფულის გათეთრებისა და შესაბამისობის რისკების მართვაზე.

პილარ 3 წლიური ანგარიშგება 2022 **VTB** სს ვითიბი ბანკი ჯორჯია  
ბანკში შესაბამისობის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია: დამოუკიდებლობის  
პრინციპი – შესაბამისობის დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის არსებობა, რომელიც პასუხს აგებს  
ბანკში შესაბამისობის რისკების მართვის კოორდინაციაზე; რისკზე დამყარებული მიდგომა–შესაბამისობის  
სისტემის უზრუნველყოფა ქმედითი და ეფექტიანი რესურსების გადანაწილებით;

### **შესაბამისობის რისკების მართვა**

შესაბამისობის რისკების მართვის მიზნით, კომპლენს კონტროლის და ფინანსური მონიტორინგის სამმართველო  
ახდენს:

- პოტენციური და რეალიზებული შესაბამისობის რისკების იდენტიფიცირებას;
- შესაბამისობის რისკების კლასიფიცირებას და შეფასებას;
- გამოვლენილი შესაბამისობის რისკების მართვის ღონისძიებების შემუშავებას და დანერგვას;
- გამოვლენილი შესაბამისობის რისკების შემცირებისკენ მიმართული ზომების დანერგვისა და ეფექტურობის  
მონიტორინგს, მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას (აუცილებლობის შემთხვევაში).
- ბანკის მიერ ბაზარზე ქვევის სათანადო სტანდარტების (ეთიკის პრინციპების) დაცვას;
- ინტერესთა კონფლიქტების მართვას;
- ბანკის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად იკვლევს და აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება  
გაზარდოს შესაბამისობის რისკი და მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკზე.

### **შესაბამისობის რისკის მართვის სისტემის ორგანიზება**

შესაბამისობის რისკის მართვის სისტემის ძირითადი ამოცანებია:

- შესაბამისობის რისკის ფაქტორების (წყაროების) იდენტიფიცირება;
- შესაბამისობის რისკის კონცენტრაციის დადგენა და რეგულირება ბანკის საქმიანობის, ოპერაციებისა და  
ქვედანაყოფების მიხედვით;
- შესაბამისობის რისკის რაოდენობრივი/ხარისხობრივი შეფასება, შესაბამისობის რისკის ბანკის ფინანსურ  
მდგრადობაზე და საქმიანობის შედეგებზე მოქმედების ანალიზი და კონტროლი.
- შესაბამისობის რისკის ნეიტრალიზაციის ან დონის შემცირების მეთოდის შემუშავება, რეალიზება და  
ეფექტიანობის შეფასება;
- შესაბამისობის რისკის მონიტორინგი და კონტროლი, ბანკის მმართველობითი/კოლეგიალური ორგანოების  
და ქვედანაყოფების ინფორმირება შესაბამისობის რისკის მართვისა და კონტროლის აუცილებლობის  
შესახებ.

შესაბამისობის რისკების მეთოდოლოგიის შესაბამისად, განსაზღვრულია რისკის ფაქტორები და მათი დეფინიცია  
და კლასიფიკაცია. შესაბამისობის რისკების შესაფასებლად გამოიყენება მიდგომა, რომელიც გულისხმობს ორი  
ცვლადის კომბინაციას: რისკის შემთხვევის დადგომის ალბათობას და დანაკარგის ოდენობას.

შესაბამისობის რისკების მართვის ფარგლებში განისაზღვრება საქმიანობის ძირითადი ინდიკატორები (KRI).

შესაბამისობის რისკის მართვის მეთოდები:

- რისკის თავიდან აცილება იმ საქმიანობის შეწყვეტით, რომელიც გენერირებს რისკს, ამგვარი საქმიანობის  
შესასრულებლად გარე ორგანიზაციებისთვის გადაცემით (აუტსორსინგი).
- რისკის რეალიზაციის ალბათობის შემცირება შიდა კონტროლის დანერგვის/სრულყოფის მეშვეობით გზით.
- რისკის ზემოქმედების შემცირება რისკების დაზღვევის მეშვეობით და/ან დამატებითი/სარეზერვო  
კაპიტალის ხარჯზე.
- ნარჩენი რისკების შენარჩუნება შესაძლო დანაკარგების დაფინანსების გზით, მ.შ. დამატებითი/სარეზერვო  
კაპიტალის ხარჯზე.
- რისკის გარკვეული დონის მიღება, როგორც ბიზნეს პროცესის ბუნებრივი თანმდევი ნაწილისა.

## **შესაბამისობის რისკების მონიტორინგი და კონტროლი**

შესაბამისობის რისკების მონიტორინგი მიზნად ისახავს შესაბამისობის რისკის მატარებელი დარღვევების (ნაკლოვანებების) აღმოფხვრას და შესაბამისობის რისკების მართვის მიზნით პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ ყოვლისმომცველი და თავისდროული ზომების მიღებას.

შემოწმების შედეგების მიხედვით, რომელიც განხორციელებულია გარე და შიდა აუდიტის, საზედამხედველო ორგანოების, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ, ბანკი განიხილავს მათი შენიშვნებს და რეკომენდაციებს და ადგენს მათი აღმოფხვრის გეგმებს და იღებს ზომებს სამომავლოდ მათი დაუშვებლობისათვის. ბანკში დანერგილია ბანკის საქმიანობის/ბიზნეს მიმართულებების შესაბამისობის რისკების თვითმეფასების, ასევე პოტენციური/რეალიზებული რისკების შეფასების სისტემა. ხდება რისკის წარმოქმნის ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრა და მათი ანალიზი შემდგომი პრევენციის მიზნით. ყოველკვარტლურად /ყოველწლიურად ხორციელდება შესაბამისობის რისკის დონის მონიტორინგი/მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა. მოქმედებს ანგარიშგების სისტემა.

### **10.9.2. რეპუტაციის რისკი**

რეპუტაციის რისკი არის რისკი, რომელსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებით უარყოფითი საჯარო განცხადებების გაკეთება ან ბანკის უარყოფითად წარმოდგენა. რეპუტაციის რისკი ეფუძნება თანამშრომლების, კლიენტების, ზედამხედველებისა და საზოგადოების მხრიდან ბანკის ნდობას. ცალკეულ მოვლენებს შეუძლიათ შეარყიონ ბანკისადმი ნდობა და უარყოფითად იმოქმედოს მის საქმიანობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკისათვის მნიშვნელოვანია დაცული იყოს ამგვარი შემთხვევებისაგან.

#### **რეპუტაციის რისკის ფაქტორები**

რეპუტაციის რისკის ფაქტორებია საკანონმდებლო და საზედამხედველო მოთხოვნების დაუცველობა, ბიზნეს-საქმიანობის გაძლიერების, პროფესიონალური ეთიკის ნორმების დაუცველობა, სახელმწიკრულეო ვალდებულებების ხშირი დარღვევები, მართვის ეფექტური სისტემების უქონლობა, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებისა და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ ბანკის მიმართ დაბალი შეფასებები, საერთაშორისო სანქციებისა და შეზღუდვების არსებობა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტური საშუალებების უქონლობა, საბანკო რისკების მართვის ხარვეზები, ბანკის მიერ გადაჭარბებული რისკის შემცველი საქმიანობის განხორციელება, საოპერაციო რისკების მაღალი დონე, შიდა კონტროლის სისტემის ნაკლოვანებები და სხვა.

#### **რეპუტაციის რისკის მინიმიზაციის ხერხები**

- შიდა მარეგულირებელი ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის მართვას ბანკი თანამშრომლებს და კლიენტებს, კონტაგენტებს შორის;
- საკანონმდებლო და საზედამხედველო ნორმებისა და მოთხოვნების დაცვაზე მუდმივი კონტროლი;
- რეპუტაციის რისკი ფაქტორების ბანკის საქმიანობაზე გავლენის მუდმივი ანალიზი;
- საქმიანობის იმ მიმართულებების მუდმივი ანალიზი და კონტროლი, რომლებიც მგრძობიარეა კლიენტებთან, მთლიანად საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით;
- ფინანსური და სხვა სახის გამოქვეყნებული ინფორმაციის კონტროლი, რომელიც მიეწოდება აქციონერებს, კლიენტებს და ფართო საზოგადოებას, მათ შორის სარეკლამო თვალსაზრისით;
- ბანკის თანამშრომლების პროფესიონალიზმის მუდმივი ამაღლება.

#### **ბანკის ორგანოებისა და ქვედანაყოფების როლი და პასუხისმგებლობა**

ბანკის უფლებამოსილი ორგანო (სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი) უზრუნველყოფენ რეპუტაციის რისკის მართვის პროცედურების, მათ შორის რეპუტაციის რისკის კონტროლისა და კაპიტალზე გავლენის დაანგარიშების

პილარ 3 წლიური ანგარიშგება 2022 **VTB** სს ვითობი ბანკი ჯორჯია პოლიტიკების, რეპუტაციის რისკების მინიმოზაციის ღონისძიებების დამტკიცებას, რეპუტაციის რისკის მონიტორინგს და კონტროლს, მათ შორის იმ საქმიანობის მიმართულებების მიხედვით, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე.

### **ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების როლი და პასუხისმგებლობა**

ბანკის შესაბამისი პასუხისმგებელი ქვედანაყოფები უზრუნველყოფენ კლიენტურასა და სხვა დაინტერესებულ პირებისათვის კომპლექსური ინფორმაციის მიწოდების ორგანიზაციას, მონაცემთა შეკრებას, მის ანალიზს, რომელიც მოიცავს რეპუტაციის რისკის შემცველი მოვლენებს, წინადადებების მომზადებას მედიაში უარყოფითი სტატიების, საჯარო პუბლიკაციების და ნეგატიური ინფორმაციის გამოქვეყნებით წარმოქმნილი რეპუტაციის რისკის მინიმოზაციისათვის, ეფექტიანი მედია სტრატეგიის ფორმირებისა და მის მართვას, პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზაციას და წარმართვას, სხვა რეპუტაციის რისკის ავილებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

### **10.9.3. სტრატეგიული რისკი**

სტრატეგიული რისკი არის რისკი, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის სტრატეგიის სუსტი დაგეგმვა და ცუდი განხორციელება, ბანკის სუსტი ბიზნეს გადაწყვეტილებები ან ბანკის მიერ რეაგირების არმობდენა გარე ცვლილებებზე. სტრატეგიული რისკი ასევე არის ბანკის საქმიანობის შედეგების არახელსაყრელი ცვლილების რისკი, ბანკის მართვის პროცესში მცდარი გადაწყვეტილებების მიღების შედეგად, მათ შორის განვითარების სტრატეგიის შემუშავების, დამტკიცებისა და რეალიზაციის დროს, მიღებული გადაწყვეტილებების არასათანადო შესრულება, ასევე გარე ფაქტორების ცვლილებების გაუთვალისწინებლობა.

სტრატეგიული რისკის ძირითადი მიზანები, მართვის პრინციპები და რეალიზაციის გზები ამ ეტაპზე ბანკს განსაზღვრული არა აქვს, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, თუმცა გასულ წლებში შემუშავებული სტრატეგიული რისკის მართვის სისტემა ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, ბანკის მიმართ სანქციების მოხსნის კვალობაზე.

### **10.10. სტრეს-ტესტები**

სტრეს-ტესტები ანუ კრიზისის სიმულაცია წარმოადგენს შესაძლო გაუთვალისწინებელი ვითარების ბანკზე მთლიანად და შესაბამის საქმიანობაზე ცალ-ცალკე გავლენის შეფასების საშუალებას. იგი გამოიყენება, რათა ბანკმა შემლოს სათანადოდ შეაფასოს და მართოს რისკები, შეაფასოს მისი კაპიტალის ადეკვატურობა და საჭიროების შემთხვევაში, შექმნას კაპიტალის ადეკვატურობის შესანარჩუნებლად საკმარისი ბუფერი.

აქედან გამომდინარე, სტრეს-ტესტირება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ბანკის მდგრადობის, მისი რისკ-პროფილის შესაფასებლად.

ბანკის რისკებისა და კაპიტალის სტრეს-ტესტირებას ახდენს სეზ-ის და საკუთარი ტესტირების პროგრამის ფარგლებში.

საკრედიტო პორტფელის სტრეს-ტესტები, რომელიც ხორციელდება სეზ-ის პარამეტრების საფუძველზე, გადის შემოწმებას ეროვნული ბანკის მიერ.

ძირითადი რისკების მიხედვით ბანკს შემუშავებული აქვს შიდა სტრეს-ტესტები, რომლებიც ფუნქციონირებენ შესაბამისი რისკების მეთოდოლოგიების ფარგლებში, რომელთა შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცალკეული რისკების აღწერებში.

### 10.11. მიტიგაციის საშუალებები

საკრედიტო რისკის დონის შესამცირებლად ბანკი იყენებს უზრუნველყოფის ისეთ საშუალებებს, როგორცაა გირაო, იპოთეკა და მესამე პირის გარანტია.

ბანკის უზრუნველყოფის სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ:

#### გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები (მლნ. ლარი)

	2022		2021	
	მოცულობა	წილი %	მოცულობა	წილი %
ფულადი სახსრები	5.2	0.27%	58.4	0.83%
ძვირფასი ლითონები და ქვები	0.1	0.01%	30.4	0.43%
უმრავი ქონება	713.5	37.43%	4,617.5	65.42%
მომრავი ქონება	172.6	9.05%	664.3	9.41%
წილის გირავნობა	451.2	23.67%	978.4	13.86%
ფასიანი ქაღალდები	562.3	29.50%	667.4	9.46%
სხვა	1.4	0.07%	42	0.60%
<b>სულ</b>	<b>1,906.3</b>	<b>100.0%</b>	<b>7,058.4</b>	<b>100.0%</b>

უზრუნველყოფის ოდენობა და სახეები, რომელსაც ბანკი იღებს უზრუნველყოფაში დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. ბანკი ადგენს პრინციპებს უზრუნველყოფის მისაღები სახეებისა და შეფასების პარამეტრების მიმართ. როგორც წესი, კრედიტის დამტკიცების პროცესში ბანკის მიერ ხდება ლიკვიდობის მქონე ერთი ან რამდენიმე უზრუნველყოფის მოთხოვნა. მოთხოვნილი უზრუნველყოფის მიმართ მიდგომები დამოკიდებულია კლიენტზე, პროდუქტზე და ბიზნეს-სტრატეგიაზე. მინიმალური სტანდარტების ბანკისათვის მისაღები უზრუნველყოფის ტიპებისა და მათი შეფასების მიდგომებს განსაზღვრავს ბანკის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

პოლიტიკის ფარგლებში განისაზღვრება რისკის მიტიგირებისათვის მისაღები ტიპების სახეები და შეფასების კრიტერიუმები. უზრუნველყოფის საგნის მიმართ მოთხოვნები ყალიბდება შემდეგი ფაქტორების მიხედვით, როგორცაა უზრუნველყოფის სტრუქტურა, ხარისხი, საბაზრო ღირებულება და ლიკვიდობა.

ბანკი ახდენს კრედიტის უზრუნველყოფის მისაღები სახეების ჩამონათვალის პერიოდულ გადასინჯვას.

იმ შემთხვევებში, როდესაც კრედიტის უზრუნველყოფად გვევლინება მიღებული გარანტია, ბანკი ახდენს გარანტორის საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზს.

ბანკს შემუშავებული აქვს მოთხოვნები საკრედიტო უზრუნველყოფის თითოეული სახეობის მიმართ. უზრუნველყოფაში გადაცემული ქონების ღირებულება განისაზღვრება მისი საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე ლიკვიდობის დისკონტის გათვალისწინებით. უზრუნველყოფაში გადაცემული აქტივების გაანგარიშებითი სიდიდე საკმარისი უნდა იყოს ძირითადი ვალის, პროცენტების, საკომისიოს და საგირავნო ვალდებულებების მომსახურების საფასურის ასანაზღაურებლად. უზრუნველყოფის სახეების მიხედვით ლიკვიდობის დისკონტი მერყეობს 10%-დან 70%-მდე.

იმ შემთხვევებში, როდესაც უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს იპოთეკა, მსესხებელი ვალდებულია დააზღვიოს შესაბამისი აქტივი.

ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, უზრუნველყოფაში მიღებული ქონებაზე მოთხოვნის უფლების რეალიზაციის შემთხვევაში, ქონების რეალიზაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობისა და ბანკის წესების შესაბამისად. ქონების რეალიზაციიდან მიღებული სახსრები გამოიყენება ვალის დასაფარად ან შესამცირებლად.

### 10.12. საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტები

კაპიტალის შეფასებისა და კაპიტალის ელემენტების გაანგარიშებას ბანკი ახდებს საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტების მონაცემების გამოყენების წესის შესაბამისად.

კაპიტალის შეფასების მიზნებისათვის ბანკი იყენებს შემდეგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების შეფასებებს:

- Standard & Poor’s Corporation
- Moody’s Investor Services
- Fitch Ratings

საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტების (სშგ) შეფასებები გამოიყენება შემდეგი აქტივების კლასების მიმართ:

- ცენტრალური მთავრობები და ცენტრალური ბანკები.
- მრავალმხრივი განვითარების ბანკები.
- საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები.
- კომერციული ბანკები.

საკრედიტო რისკი – სტანდარტული მიდგომის (Credit risk –The Standardised Approach) ფარგლებში ბანკი იყენებს სეზ–ის მიერ აღიარებული შემდეგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების საკრედიტო შეფასებების სკალას, რომელიც რანჟირებულია სეზ–ის საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით (მეფინგი / mapping), ქვემოთ მოყვანილი ცხრილების შესაბამისად:

ცხრილი 1. აღიარებული გრძელვადიანი რეიტინგები და ექვივალენტური საკრედიტო კატეგორიები / Recognised long-term ratings and equivalent credit rating grades

Credit rating grade	Standard & Poor’s Corporation	Moody’s Investor Services	Fitch Ratings
1	AAA	Aaa	AAA
	AA+	Aa1	AA+
	AA	Aa2	AA
	AA-	Aa3	AA-
2	A+	A1	A+
	A	A2	A
	A-	A3	A-
3	BBB+	Baa1	BBB+
	BBB	Baa2	BBB
	BBB-	Baa3	BBB-
4	BB+	Ba1	BB+
	BB	Ba2	BB
	BB-	Ba3	BB-
5	B+	B1	B+
	B	B2	B
	B-	B3	B-
6	CCC+	Caa1	CCC+
	CCC	Caa2	CCC
	CCC-	Caa3	CCC-
	CC	Ca	CC
	C	C	C
	D		D

ცხრილი 2. აღიარებული მოკლევადიანი რეიტინგები და ექვივალენტური საკრედიტო კატეგორიები / Recognised short-term ratings and equivalent credit rating grades

Credit rating grade	Standard & Poor's Corporation	Moody's Investor Services	Fitch Ratings
1	A-1	P-1	F-1
2	A-2	P-2	F-2
3	A-3	P-3	F-3
4	Others	Others	Others

მრავალჯერადი შეფასება /Multiple assessments

- თუ არსებობს კონკრეტული მოთხოვნის მიმართ სშგი/ECAI-ს მხოლოდ ერთი შეფასება, მაშინ ეს რეიტინგი გამოიყენება ამ მოთხოვნის რისკის მიხედვით შესაწონად.
- თუ არსებობს სშგი/ECAI-ს ორი შეფასება, რომლებიც შეესაბამებიან რისკის მიხედვით სხვადასხვა წონას, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე მაღალი რისკის წონა.
- თუ არსებობს სშგი/ECAI-ს სამი შეფასება, რომლებიც შეესაბამებიან რისკის მიხედვით სხვადასხვა წონას, მაშინ შერჩეული უნდა იქნეს ორი ყველაზე დაბალი რისკის წონა და გამოყენებული იქნეს ყველაზე მაღალი რისკის წონა ამ ორს შორის.

**11. ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები**

*ანაზღაურების პოლიტიკის გამჟღავნების მოთხოვნები*

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება გენერალური დირექტორისა და დირექტორატის სხვა წევრების შრომის ანაზღაურების პირობების განსაზღვრა, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების ოდენობა, პერიოდულობა, ანაზღაურების ცვლადი ნაწილი და სხვა.

დირექტორატის კომპეტენციას მიეკუთვნება ბანკის თანამშრომლების (დირექტორატის წევრების გარდა) შრომის ანაზღაურების პოლიტიკის, სისტემების, წახალისების მოდელების განსაზღვრა. კერძოდ ის ამტკიცებს შრომის ანაზღაურების ფონდის ოდენობას; განიხილავს და ამტკიცებს წინადადებებს ანაზღაურების სისტემისა და მოტივაციის სხვა მოდელების სრულყოფის შესახებ; განიხილავს შრომის ანაზღაურების სისტემის მონიტორინგის განმახორციელებელი სტრუქტურების (როგორც შიდა, ისე გარე) შეფასებას და ანგარიშებს და სხვა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის ხელმძღვანელობის ანაზღაურების საკითხებზე გარე კონსულტანტი ბანკს არ მოუწვევია. ბანკის სისტემაში ანაზღაურების პოლიტიკა თანხვედრია ყველა ბიზნეს-მიმართულებისათვის, როგორც სათაო ოფისში, ისე გაყიდვის წერტილებში.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ უმაღლეს მენეჯმენტის პოზიციები შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან, ბანკის გენერალური დირექტორისა და დირექტორატის წევრებისაგან;

ბანკის სისტემაში ანაზღაურების პოლიტიკა განსაზღვრავს შრომითი ანაზღაურების საკვანძო პრინციპებსა და ძირითად ელემენტებს.

მოტივაციის და შრომის ანაზღაურების სისტემა მიმართულია:

- ბანკის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევისკენ, რომელიც განვითარების მიმდინარე ეტაპს შეესაბამება და ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლების შესრულებისკენ, რომლითაც განისაზღვრება ეს მიღწევები;
- ბანკის თანამშრომელთა შრომის ეფექტურობის, დაინტერესებისა და შრომის შედეგებზე პასუხისმგებლობის ზრდისკენ.

მოტივაციის და შრომის ანაზღაურების სისტემა ხელს უწყობს რეგიონში მომხიბვლელი დამსაქმებლის იმიჯის შექმნას, ქმნის ბაზარზე ანაზღაურებისა და საკომპენსაციო პაკეტების კონკურენტულ დონეს; ხელს უწყობს კვალიფიციური და შედეგიანი თანამშრომლების დამაგრებას/შენარჩუნებას და მოზიდვას, პერსონალის პოტენციალისა და კომპეტენციების განვითარებას ბიზნესისთვის საჭირო მიმართულებით.

ანაზღაურების სისტემა ბანკის სისტემაში შეესაბამება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- გამჭვირვალობა: ანაზღაურების სისტემაში გამოყენებული მიდგომებისა და პრინციპების სრული და ნათელი წარმოდგენა ბანკის თითოეული თანამშრომლისათვის
- მოქნილობა: ბიზნესის განვითარების და გარე ბაზრის ცვლილების კვალობაზე, ანაზღაურების სისტემის ცვლილების შესაძლებლობა
- დინამიურობა: სისტემის მუდმივი სრულყოფა-განვითარება
- ერთიანობა: ანაზღაურების სისტემის მოქმედება, როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობა
- კომპლექსური მიდგომა: თანამშრომლების მუშაობის შედეგების შეფასება
- კონკურენტუნარიანობა: ანაზღაურების კონკურენტუნარიანი დონის შენარჩუნება და კვალიფიციური კადრების შემდგომი მოტივირება მათი მოზიდვა/შენარჩუნების მიზნით

ანაზღაურების სისტემის სრულყოფა ხორციელდება ვითიბის სისტემაში შემუშავებული პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად, დამტკიცებული საბიუჯეტო საშუალებების ფარგლებში.

ბანკში მიღებული სისტემის თანახმად, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება იყოფა ფიქსირებულ და ცვლად ნაწილებად.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სისტემაში შიდა კონტროლის ფუნქციებს ახორციელებს შიდა აუდიტის სამმართველო, რომელიც სტრუქტურულად ექვემდებარება აუდიტის კომიტეტს და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. სამმართველოს ფუნქციები დამოუკიდებელია, მათ აქვს საკმარისი რესურსი, დაკომპლექტებულია მცოდნე და შესაბამისი გამოცდილების მქონე პერსონალით, რაც ხელს უწყობს მათი ამოცანების სრულფასოვან, ობიექტურ შესრულებას. შიდა აუდიტის სამმართველოს მიერ ანაზღაურების სისტემების შეფასება ხორციელდება პერიოდული შემოწმებების დროს. ასევე, წინასწარი კონტროლის ფუნქციის განხორციელების ფარგლებში, სამმართველო მუდმივად იღებს მონაწილეობას შრომის ანაზღაურების სისტემასთან დაკავშირებული შიდა ნორმატიული დოკუმენტების პროექტების განხილვაში.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სისტემაში ანაზღაურების სისტემის რისკების შეფასება მიმართულია საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ; საბანკო ოპერაციების მასშტაბისა და ხასიათის, საქმიანობის შედეგის, აღებული რისკების დონის შესაბამისი შრომის ანაზღაურების სისტემის უზრუნველყოფისაკენ.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სისტემაში ხელმძღვანელების დამატებითი ანაზღაურება განგარიშება წლიური შედეგებიდან გამომდინარე, შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

- **ფინანსური შედეგი** - ბანკის ხელმძღვანელობის ცვლადი ანაზღაურება მიბმულია ფინანსურ შედეგზე (წმინდა მოგება/ზარალი). მიზნობრივ მაჩვენებლის მინიმუმ 80%-ით შესრულება იძლევა მათთვის ბონუსის გაცემის საშუალებას. ზარალის შემთხვევაში ტოპ მენეჯერებმა შეიძლება დაკარგონ დამატებითი ანაზღაურების მიღების უფლება;
- **საერთო საბანკო მაჩვენებლების შესრულება** - დირექტორატის წევრისთვის აუცილებელი საერთო KPI არის ROE - კაპიტალის უკუგების და CIR (Cost/Income Ratio) კოეფიციენტები
- **პასუხისმგებლობის ზონებში დაწესებული KPI-ის შესრულება** - თითოეულ ხელმძღვანელს უწესდება თინდივიდუალური KPI-ი იმ ბიზნეს მიმართულებების შესაბამისად, რაზეც პასუხისმგებელი არიან.

პილარ 3 წლიური ანგარიშგება 2022 **VTB** სს ვითიბი ბანკი ჯორჯია ინდივიდუალური მაჩვენებლები მოიცავენ როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს/საპროექტო მიზნებს. მაჩვენებლების შესრულების დიაპაზონი მერყეობს 80%-დან 150 %-მდე

- **მაკორექტირებელი მაჩვენებლის არსებობა:** სამეთვალყურეო საბჭოს შეფასება. განისაზღვრება 80-120% ფარგლებში, ასახავს ხელმძღვანელის საქმიანობის სუბიექტურ შეფასებას, მათ შორის ამა თუ იმ დამატებითი ამოცანების/ მიზნების შესრულების დონეს.

ხელმძღვანელების ბონუსის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს მათი თვიური ხელფასის N-მაგი ოდენობა, რომელიც გამოიყენება წლიური ბონუსის გაანგარიშებისათვის. განისაზღვრება ინდივიდუალურად, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, გამომუშავებული პერიოდის პროპორციულად.

ხელმძღვანელებისათვის დაწესებული KPI-ები შეესაბამება შემდეგ კრიტერიუმებს: სტრატეგიულ მიზნებთან და ბიზნეს-გეგმასთან კავშირი, უნდა იძლეოდეს ბანკისთვის მნიშვნელოვანი რისკებისა და შემოსავლიანობის, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის, შემოსავლებისა და ხარჯების შეფარდების გათვალისწინების საშუალებას; კრიტერიუმები უნდა იყოს გამჭვირვალე და გაზომვადი და თითოეულის წონა არ უნდა იყოს 10% ნაკლები . KPI-ს შეფასების დროს საჭიროა განისაზღვროს: საერთო საბანკო და ინდივიდუალური (პასუხისმგებლობის სფეროს მიხედვით) KPI შესრულებები.

დირექტორატის წევრების რაოდენობრივი KPI-ს წონები მოცემულია ცხრილში

	საერთოსაბანკო რაოდენობრივი KPI მაჩვენებლები	პასუხისმგებლობის ზონებში KPI	
		რაოდენობრივი KPI	ხარისხობრივი/საპროექტო მიზნები
გენერალური დირექტორი	80%	0%	20%
დირექტორატის წევრები	0-30%	40-50%	20-30%

ხელმძღვანელების წლიური ბონუსის გაანგარიშების ფორმულა ყალიბდება შემდეგნაირად:

$$\text{წლიური ბონუსი} = \boxed{\text{ბონუსის გაანგარიშების ბაზა (ფონდი)}} \times \boxed{\text{ზღვრული კოეფიციენტი}} \times \boxed{\text{KPI შესრულება}} \times \boxed{\text{სამეთვალყურეო საბჭოს შეფასება}}$$

ბანკის ხელმძღვანელების დამატებითი ანაზღაურების საკითხს განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო წლიური შედეგების შეფასების შემდეგ. სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილებით დგინდება დამატებითი ანაზღაურების ოდენობა და გაცემის პირობები, ვადები.

ბანკის ხელმძღვანელების წლიური ბონუსი გაიცემა გადავადების პრინციპის დაცვით:

იმ ხელმძღვანელებს, რომელთა ბონუსის მოცულობა არ აღემატება წლიური ფიქსირებული ანაზღაურების 100%-ს და ბონუსის ოდენობა არ აღემატება 500,000 ლარს (მის ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), მოხდება 40%-ის გადავადება; ხოლო ხელმძღვანელებს, რომელთა ბონუსის მოცულობა აღემატება წლიური ფიქსირებული ანაზღაურების 100%, ან/და ბონუსის თანხობრივი მოცულობა აღემატება 500,000 ლარს (მის ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), მოხდება 60%-ის გადავადება

პილარ 3 წლიური ანგარიშგება 2022 **VTB** სს ვითიბი ბანკი ჯორჯია თუკი ხელმძღვანელის ცვალებადი ანაზღაურება არამატერიალური ოდენობისაა (არ აღემატება წლიური ფიქსირებული ანაზღაურების 20%-ს), მაშინ გადავადებული ნაწილი შესაძლოა გაიცეს სრულად, საანგარიშო წლის მომდევნო კალენდარული წლის დასრულებამდე. ხოლო, თუკი ხელმძღვანელის ცვალებადი ანაზღაურება მატერიალური ოდენობისაა, მაშინ ცვალებადი ანაზღაურების გამომუშავების პერიოდში გადავადებული ნაწილი იყოფა სამ თანაბარ ნაწილად და გაიცემა სამი წლის განმავლობაში თანაბარი პროპორციით, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო

ცვალებადი ანაზღაურების როგორც გადაუვადებელი, ასევე გადავადებული ნაწილი გაიცემა ფულადი ფორმით და დენომინირდება იმ ვალუტაში, რომელშიც განსაზღვრულია ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება.

აქციონერების მიერ (მშობელი კომპანია) ბანკისგან მიღებული შემოსავალ-ხარჯები წარმოდგენილია ათას ლარში ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2022	2021
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	5	23
საპროცენტო ხარჯი	(10,404)	(9,310)
საკომისიო ხარჯი	(8)	(246)
წმინდა შემოსულობა უცხოურ ვალუტაში შესრულებული გარიგებებიდან	1,130	5,448
სხვა საოპერაციო ხარჯები	(3)	(7)

## 12. პილარ 3-ის ანგარიშგების დანართები

ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მაჩვენებლები მოცემულია ცალკე დანართებად.

